ედუარდ შევარდნაძე: მაქვს სამართალდამცველი მოძრაობის, ყველა იმ ადამიანის მხარდაჭერის იმედი, ვისაც კარგად აქვს შეგნებული, რომ ძალა, რომელიც ხელყოფს ჟურნალისტთა სიცოცხლეს, საფრთხეს უქმნის მშვიდობას, თავისუფლებასა და დემოკრატიას.

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 243 (771) ოთხშაბათი, 10 ნოემბერი, 1993 წელი ფასი 200 კუპონი.

პირველი სვეტი

მორიგი „მონაჩმახი"

საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ და ზუგდიდის რაიონის გამგეობამ უარყვეს 9 ნოემბერს იტარ-საკდესის არხებით გავრცელებული „აფხაზეთის რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს" პრესსამსახურის ინფორმაცია, რომელშიც საქართველოს სამთავრობო ჯარებს ადანაშაულებენ „მდინარე ენგურზე გამავალ აფხაზეთის საზღვარზე" ოპერატიული ვითარების მკვეთრ გამწვავებაში. კერძოდ, ამტკიცებენ, რომ წუხელ ქართველთა ჯარების ქვეგანაყოფებმა ავტომატური იარაღის ცეცხლი დაუშინეს „აფხაზეთის რესპუბლიკის" შეიარაღებული ძალების პოზიციებს მდინარე ენგურზე გადებული სარკინიგზო ხიდის მახლობლად, აფხაზთა ქვეგანაყოფებმა კი გახსნეს საპასუხო ცეცხლი.

საელჩო უარყოფს

მოსკოვი, 9 ნოემბერი. საქართველოს საელჩომ რუსეთში უარყო მასობრივი ინფორმაციის ზოგიერთი საშუალების მიერ გავრცელებული ცნობა იმის თაობაზე, თითქოს მოხდა საქართველოს სამთავრობო ჯარებისა და აფხაზთა ძალების შეტაკება მდინარე ენგურზე. ეს ინფორმაცია, როგორც ამ საღამოს აცნობეს იტარ-საკდესის კორესპონდენტს საქართველოს საელჩოში, არასწორია.

საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება

მოსკოვი, 9 ნოემბერი. დღეს აქ გაავრცელეს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება, რომელშიც ნათქვამია: „საქართველოდან მიღებულ სამხედრო ინფორმაციებში გამოჩნდა მდინარე ენგურის რაიონი.

რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტრო კატეგორიულად აცხადებს, რომ საომარ მოქმედებას ამ ზონაში, ქართველთა ან აფხაზთა შეიარაღებული ფორმირებების მიერ მდინარე ენგურის — ამჟამად დაპირისპირებული მხარეების გამყოფი მიჯნის — გადალახვას, უაღრესად სერიოზული შედეგები შეიძლება მოჰყვეს.

რუსეთის ფედერაცია გაამკაცრებს ეკონომიკურ და სხვა სანქციებს, თუ ამ ნაბიჯს გადადგამს აფხაზთა ხელმძღვანელობა, თუ იგი დაუშვებს საქართველოში ბოევიკების ან იარაღის შემოგზავნას მისი ტერიტორიის გავლით. რუსეთის სათანადო რეაგირება მოჰყვება აგრეთვე ქართველთა მხარის მოქმედებას, თუ მისი ჯარები საბრძოლო ოპერაციებს გადაიტანენ მდინარე ენგურს გაღმა.

ერთი წლის განმავლობაში აფხაზეთში მიმდინარე ომმა დაამტკიცა, რომ ქართველ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარება ძალისმიერი საშუალებებით შეუძლებელია. კონფლიქტის მოგვარების გზაა ის, რომ მხარეები დაუბრუნდნენ სოჭის შეთანხმებათა ძირითად დებულებებს და შეასრულონ ისინი, იმოქმედონ სრულმასშტაბიანი პოლიტიკური მოწესრიგების შესახებ მოლაპარაკების მეშვეობით".

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკის" და საქინფორმის კორესპონდენტები

ფაქტი მოვლენა კომენტარი

ფოტო ომიდან



ქვემეხი და ბავშვი. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ჩემი პოზიცია

რა გზა გვაქვს გავლილი და საით მივდივართ?

პოლიტიკური მდგომარეობა ჩვენს რესპუბლიკაში ძალიან რთულია. კრიზისი რამდენიმე წლის წინათ დაიწყო და სავალალო და შემაშფოთებელი ისაა, რომ კი არ კლებულობს, მატულობს. დღითი-დღე იქმნება მოვლენები, რომლებიც საჭიროებენ გონივრულ პოლიტიკურ გადაწყვეტას, და ჩნდება კითხვები, რომლებიც სწორ პასუხს მოითხოვენ.

ამჯერად წამოჭრილი კითხვა ჩვენი რესპუბლიკის თავისუფალ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში შესვლას ეხება და რეაქცია, რომელიც მან გამოიწვია, გასაგები, არსებითად განსხვავებული და ხშირად დაპირისპირებულიც არის.

ჩვენი ცხოვრების უკანასკნელი მოვლენები ისეთ საგარეო ვითარებას დაემთხვა, რომლებიც, მცირერიცხოვანი ერის ცხოვრებაში, საუკუნეების მანძილზე ერთხელ დგება, ოპტიმისტურ პერსპექტივას ბადებს და ეროვნულ აღმავლობას და აღფრთოვანებასაც იწვევს.

9 ოქტომბრის ტელეგადაცემაში ჟურნალისტმა ნატო ონიანმა ჩვენი პარლამენტის თავმჯდომარეს სახელმწიფოს მეთაურს ამგვარი კითხვით მიმართა:

— უკეთესი ხომ არ იქნებოდა, რომ გადამდგარიყავით და ეს ნაბიჯი (იგულისხმება ამ თანამეგობრობაში შესვლა) სხვის სახელთან ყოფილიყო დაკავშირებული?

ამგვარი შეკითხვა წინასწარ გულისხმობს ამ აქციის უარყოფით შეფასებას. ვფიქრობ საბოლოო პასუხს ამ კითხვას მომავალი გასცემს, როდესაც შედეგები რეალობა გახდება და არა სავარაუდებელი.

დღევანდელ პირობებში კითხვის გაჩვრეტისა და გადაწყვეტისათვის აუცილებელია ჩვენი ქვეყნის წარსულის გათვალისწინება და რაც მთავარია, იდეალისა და რეალობის გარჩევა — იდეალი და სინამდვილე იშვიათად ემთხვევა და ამით ალტერნატივა ყველაზე მწვავედ პოლიტიკის სფეროში განიცდება.

1.

ბიზანტიის იმპერატორის იუსტინიანე დიდის ისტორიკოსი აგათი მირინელი გადმოგვცემს, რომ კოლხეთში ბიზანტიელმა მთავარსარდლებმა შეტყუებით „ვერაგულად მოჰკლეს" მეფე გუბაზი (554 წ.) ამან გამოიწვია კოლხეთის საზოგადოების თავყრილობა, რომელზეც სხვებთან ერთად, სიტყვა წარმოსთქვა საზოგადო და პოლიტიკურმა მოღვაწემ აიეტმა და თანამემამულეებს ახალი პოლიტიკური ორიენტაციისაკენ მოუწოდა.

ეს სიტყვა მრავალმხრივ იქცევს ყურადღებას — რიტორიკული ხელოვნების, თეორიული მოსაზრებების (რომლებიც სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის საფუძველს ეხება) და პოლიტიკური თვალსაზრისით. ამ ურთიერთობათა საფუძველს, მისი სიტყვით, „კეთილ საწყისს" ის სათნოებაში ხედავს, რაც მეტყველებს მისი შეხედულებების მაღალ თეორიულ და ზნეობრივ დონეზე (იხ. ჩვენი „ქართული საზოგადოებრივი და ფილოსოფიის ისტორიიდან", 1954 და „ქართული ფილოსოფიის ისტორია", 1988).

ამჯერად ყურადღებას მისი პოლიტიკური შეხედულებანი იპყრობს.

„მე ვინატრიდი კოლხეთის სახელმწიფოს ჰქონდეს მისი ძველი ძლიერება, რომ მას არ დასჭირებოდეს უცხო და გარეშე დახმარება და რომ ყოველგვარ საქმიანობაში, როგორც ომიანობის, ისე მშვიდობიანობის დროს, მხოლოდ საკუთარ თავს ეყრდნობოდეს. მაგრამ, როდესაც ჩვენ ჟამთა ტრიალის ან ბედის უკუღმართობის, ან ორივეს წყალობით, ისეთს უძლურებაში ჩავვარდით, რომ ხელქვეითნი გავხდით, მე ვფიქრობ უმჯობესია იმათ ხელში ვიყოთ, ვინც უფრო კეთილის მსურველია, ვინც ურყევად იცავს კეთილგანწყობილებას თავისიანებისა და მოკავშირეთა მიმართ" (ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, III, 1936, გვ. 64).

თუ არ ვცდები, აიეტის ეს სიტყვები პირველად ჩვენმა ცნობილმა მოღვაწემ ზურაბ ავალიშვილმა დაიმოწმა ემიგრაციაში დაწერილ წიგნში „საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში" (ითარგმნა და გამოიცა თბილისში 1925 წ.), რომელიც ეძღვნება „საქართველოსთვის აღსრულებულთა ხსოვნას, ახალთ საიმედოდ" და იწყება აიეტის ციტირებული სიტყვებით.

აიეტის სიტყვიდან ჩანს მისი ღრმა, იმ დროისათვის უჩვეულო პატრიოტული განწყობილება: ის მწუხარებით იხსენებს **„კოლხთა ძველ ღირსებას", „მხდალებად და ლაჩრებად" მიაჩნია თავის თანამემამულეთა შორის ისინი, ვინც „თავისი უქნარობით სახელმწიფო საქმეებში დაუდევრობას ამტკიცებს" და ფიქრობს, რომ „სასირცხვო იქნება თუ ჩვენს მეფეს დავივიწყებთ და მის მკვლელებს პირფერობას დავუწყებთ" და ა. შ.**

აიეტის სიტყვის მიხედვით, მის იდეალს კოლხეთის სრული დამოუკიდებლობა შეადგენს, რომ მისი ქვეყანა „საკუთარ თავს ეყრდნობოდეს", მაგრამ თუ ის იძულებულია ეს საყრდენი სხვა ქვეყნებში ეძებოს და საკუთარი ქვეყნისათვის არა სასურველ და მძიმე პირობებს შეურიგდეს, ეს მხოლოდ გარეგანი მიზეზებით, სახელდობრ „ჟამთა ტრიალით" და „ბედის უკუღმართობითაა" გამოწვეული.

თუ აიეტის პოლიტიკურ შეხედულებებს ზოგადად შევხედავთ და დღევანდელი მდგომარეობის პოზიციიდან შევაფასებთ, ნათელი გახდება, რომ მის წინაშე წამოჭრილი პრობლემა ჩვენი ისტორიის მთავარ პრობლემას წარმოადგენდა და თუმცა იყო ჩვენს ისტორიაში ბედნიერი პერიოდებიც, ეს მაინც იყო ჩვენი ისტორიის ტრაგედიის მთავარი მიზეზი (იხ. ჩვენი წერილი „საქართველოს რესპუბლიკა", 19.X. 93).

შევეხები ქართველი ხალხის უწყალო ძლეტისა და ეკონომიკური და პოლიტიკური განადგურების ისეთ ფაქტებს, რომლებიც სპარსეთსა და ოსმალეთთან არის დაკავშირებული და დღევანდლამდე არ დაუკარგავთ აქტუალობა.

2.

კონსტანტინეპოლის აღებასთან დაკავშირებით, რაც ბიზანტიის იმპერიის საბოლოო დამხობას ნიშნავდა, ივანე ჯავახიშვილი წერდა: „1453 წლის 29 მაისს, შუა ღამის ორ საათზე, დაიწყო თურქთა ჯარის გადამწყვეტი ბრძოლა ბიზანტიის სახელმწიფოს დიდებული დედაქალაქის ასაღებად... დილის 8 საათი იქნებოდა, როდესაც სულთან მუჰამედ II-ს მახარობელმა მოახსენა, რომ მისი დიდი ხნის გულისნადები და ნატვრა აღსრულდა და კონსტანტინეპოლი მისი ძლევამოსილი ლაშქრის ხელში იყო".

ამავე გამოკვლევაში ვკითხულობთ როგორ ელოდნენ აია-სოფიის ტაძარში მუხლმოდრეკილი ბიზანტიელი მლოცველები სასწაულმოქმედებას, როგორ ევედრებოდნენ ღმერთს „უსჯულოთა" ხელისაგან დახსნას და რამდენად ძნელი წარმოსადგენია „ახლა ჩვენთვის". საზარელი შთაბეჭდილება,

(გაგრძელება მე-8 გვ.)

...მაგრამ საქართველოს ვერ დახვრეტთ!

ქართველ ჟურნალისტთა ღია წერილი გამსახურდიას

რამდენიმე დღის წინათ თქვენ დახვრიტეთ 24 წლის ჟურნალისტი, ჩვენი კოლეგა, საქართველოს ტელევიზიის რეჟისორი, ამერიკის შეერთებული შტატების სააგენტო „მსოფლიო ახალი ამბების" ოპერატორი — დათო ბოლქვაძე. სწორედ თქვენ, გამსახურდიამ, დახვრიტეთ იგი, და არა იმ ველურებმა, რომლებმაც დღისით-მზისით ქალაქ ხობის მოედანზე, ხალხის თვალწინ ჩაიდინეს ეს გაუგონარი დანაშაული. თქვენ წაართვით სიცოცხლე ადამიანს, რომელიც თავის პროფესიულ ვალს ასრულებდა. თქვენ, „ქრისტიანმა", თქვენი შვილის ტოლი ბიჭისთვის არ იკმარეთ ექვსი ტყვია, მისი ცხედარი დააგდეთ ღია ცის ქვეშ და დასამარხადაც არ გაიმეტეთ.

ჟურნალისტიკის ისტორიას არ ახსოვს ამგვარი ფაქტი. ყველაზე ბოროტმოქმედ დიქტატორებსაც კი არ მოუთხვრიათ ხელები ჟურნალისტთა სისხლით. ამერიკის სამხედრო ნაწილებით ალყაშემორტყმულ ბაღდადში, სადამ ჰუსეინის რეზიდენციიდან ას მეტრში, ამერიკელი ჟურნალისტები მუშაობდნენ. ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის იმპერატორი, კანიბალი და კაცთმოძულე ბოკასიც კი არ გარეულა ჟურნალისტთა წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებებში. რა ვუწოდოთ მათ, ვინც ამგვარ ზღვარს გადააბიჯა ხობში, რა სიტყვებით მივმართოთ „პოლიტიკოსებს", რომლებმაც მათ მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე ამგვარი ატმოსფერო შექმნეს?!

სასაცილოცაა და სამარცხვინოც, რომ თქვენ ოდესღაც იყავით პრეზიდენტი, რომელიც, როგორც, ამ ბოლო დროს თითქოს გონს მოსული თქვენი მომხრეები ამბობენ, კანონიერი გზით მოხვედით. მაგრამ თქვენ მოხვედით, რათა უკანონობა გეთესათ და დაგეკანონებინათ. ბოროტება, ვიდრე გამოაშკარავდება, ფარულ, მოჩვენებით გზებსა და ხერხებს ეძიებს, რათა უსამართლო და სისხლიანი ქმედებანი ჩაიდინოს.

თქვენც სწორედ ასე მოიქეცით. უკვე ყველასთვის მობეზრებულია, უაზრობად ქცეულია თქვენი „კანონიერი პრეზიდენტობა". ღმერთო, შენ დაიფარე საქართველო ასეთი „კანონიერი" პრეზიდენტისგან!

რისთვის დაბრუნდით საქართველოში? რომ ფაშისტისთვის ჩვეული შემართებით სიკვდილი და ნგრევა, ახალი უბედურებანი და ტანჯვა ჩამოგეტანათ თან? სხვა „საჩუქრები" საკუთარი ხალხისთვის არც გაქვთ და არც არასდროს გქონიათ.

ჩვენ იმ ხალხის იმედი გვაქვს, რომელმაც დიდი გამოცდილება მიიღო მომხდარისა და განცდილისაგან, რომელიც არ დაუშვებს, რომ უგუნურნი და ბოროტმოქმედნი ოდესმე ისევ მოვიდნენ ხელისუფლების სათავეში.

გამსახურდია და საქართველო — დამნაშავე და მსხვერპლი. მაგრამ საქართველოს მოკვლა თქვენ ვერ შეძელით და ვერც შეძლებთ. ამიერიდან და სამუდამოდ თქვენი ადგილი აქ აღარ არის. თქვენ დაწყევლილი და განდევნილი ხართ. განდევნილი იმ პირველი მკვლელი კაენივით, რომელიც ვერ იპოვის ნუგეშსა და სიმშვიდეს ვერც ცოცხალთა და ვერც გარდაცვლილთა შორის. თქვენ საქართველოში თქვენი ყოფნით ცოცხლებს სისხლიანი ვაკხანალიის ქარცეცხლში ახვევთ, გარდაცვლილთა სახელებს კი შეურაცხყოფთ. შეურაცხყოფთ იმ გარდაცვლილებს, რომელთა სისხლი ცას შეჰღაღადებს, ვინც სამშობლოს ერთიანობისთვის სამართლიან და წმიდათაწმიდა ბრძოლაში დაიღუპა, ვისაც თქვენ ასეთი ბარბაროსული დაუნდობლობით უღალატეთ. დიახ, თქვენ უღალატეთ მათ. თქვენ გაყიდეთ გარდაცვლილთა სულები, და დანაშაულებრივად დაუკავშირდით თქვენსავე მსგავს ფაშისტებს.

დღეს, სოხუმის ტრაგედიის შემდეგ, ბევრი თქვენი მომხრეთაგანი მიხვდა, რას წარმოადგენს გამსახურდია და მისადმი დაქვემდებარებული არაკაცები. დღეს ბევრი „თქვენიანი" მიხვდა, რომ უნდა ამოეწეროს თქვენი მომხრეების სიიდან. ამით ისინი დიდ რისკზე მიდიან, რადგან თქვენ, ფაშისტი გამსახურდია, მათაც ისევე ხვრეტთ, როგორც მათ, ვინც უარი თქვა „ნამდვილი" და „არანამდვილი" ქართველების სასაკლაოს მოწყობით თქვენთვის საცქერლად სასიამოვნო სანახაობა მოეწყო. თქვენ ხოცავთ „თქვენიანებს" — მათ, ვინც თქვენი დანაშაულებრივი გეგმის სისასტიკეში დარწმუნებული, იარაღს ყრის. სულ ეს არის თქვენი „კანონიერება". და თუ განაგრძობთ საგნებისთვის საკუთარი სახელების დარქმევას, მაშინ თქვენ, გამსახურდიავ, სხვა არაფერი ხართ, თუ არა დიდი მასშტაბის პოლიტიკური მაროდიორი. თქვენთვის არც დღეს, არც მომავალში პატიება არ არსებობს.

დათო ბოლქვაძეს მიიბარებს ქართული მიწა. თქვენ კი ვერასდროს ვერ შეიგნებთ იმ ტრაგედიის სიმძაფრეს, რომელიც უკვე მეორედ არგუნეთ საქართველოს. თუმცა ჩვენ მაინც გვჯერა და გვწამს, რომ თქვენს მიერ დანერგილი მსოფლმხედველობის ჩამორჩენილობის, პროვინციული ქარჩაკეტილობის, ნაციონალიზმის უკურნებელი სენის, პოლიტიკური სადიზმისა და არაადამიანური ბანდიტიზმისგან განწმენდის პროცესი ლოგიკურ დასასრულს უახლოვდება.

საქართველოს უახლოეს ისტორიაში ღალატისა და გამცემლობის ეს სამარცხვინო ფურცელი სამუდამოდ დარჩება თანამედროვეთა და მომავალი თაობებისათვის მწარე გაკვეთილად.

ჩვენდა საუბედუროდ, ამ პროცესს მრავალი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. მათ შორის დათო ბოლქვაძისაც. საუკუნო ხსოვნა მის ნათელ სახელს. და საუკუნო სიძულვილი მათ, ვინც „დაუღალავად" ცდილობდა და ცდილობს დახვრიტოს საქართველოში სინდისი, სიკეთე და კეთილშობილება.

ს. ბიწაძე, ნ. ონიანი, ლ. ბურჭულაძე, ზ. კაცია, ბ. ცირამუა, ც. ბაჭელიძე, ლ. ლეონიძე, ა. მურვანიძე, მ. რიცკინი, მ. მენთეშაშვილი, ვ. ხუნდაძე, მ. ხვარამძე, ა. სინაურიძე, გ. ჭოჭიაშვილი, თ. ჩიქოვანი, ზ. დარასელი, ს. გვარჯალაძე, გ. რატიშვილი, გ. ბაზაძე, გ. ფეიქრიშვილი, ტ. მაზარაძე, ნ. მიქელაძე, ქ. ყანდიაშვილი, თ. თავაძე, შ. ქურდაძე, ვ. ჩოჩიშვილი, მ. ბალარჯიშვილი, ვ. ლომიძე, გ. გაბელაძე, ი. ტოლიაშვილი, მ. მაზიაშვილი, ჩ. მამისეიშვილი, გ. ზუბაშვილი, თ. შაიშმელაშვილი, მ. არეშიძე, ნ. ჯაფარიძე, ნ. ჩაჩუა, ქ. დუმბაძე, დ. გოგიბედაშვილი, გ. მდივანი, გ. ტოგონიძე, ნ. ტყემალაძე, ა. ჩხარტიშვილი, მ. ოდიშარია, თ. ელიავა, ზ. კანდელაკი, ნ. ბროლაძე, თ. ხომერიკი, ვ. ნანიტაშვილი, დ. კიკვაძე, ჯ. ნოზაძე, ი. მიქაძე, ნ. პაჭკორია, ზ. შენგელია.

ხელმოწერები გრძელდება.

ნომერში

- საიდან ყარს თევზი? — ანუ ვიდრე ურემი სულ არ გადაბრუნებულა... 2
- „რა ენა წახდეს"... როგორ ვწერთ და ვლაპარაკობთ? 4

ედუარდ შევარდნაძე სენაკში

9 **ნოემბერს** საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაური ე. შევარდნაძე სენაკის გამგეობის შენობაში შეხვდა რაიონის ხელმძღვანელებსა და მოსახლეობას. შეხვედრაში მონაწილეობდნენ მინისტრთა კაბინეტის წარმომადგენლები.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ სასწრაფოდ უნდა დაისახოს უახლოეს ხანში წესრიგის აღდგენისთვის საჭირო ღონისძიებები.

• • •

გუშინ გვიან ღამით ბატონი ედუარდ შევარდნაძე თბილისს დაბრუნდა.

შეხვედრები ფოთსა და ზუგდიდში

8 ნოემბერს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ოთარ ფაცაცია, პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე და ვიცე-პრემიერი ავთანდილ მარგიანი ფოთში შეხვდნენ შავი ზღვის სამხედრო ფლოტის სარდალს ადმირალ ედუარდ ბალტინს, რომელიც ორი სადესანტო ხომალდის თანხლებით ფოთის ნავსადგურში იმყოფება.

სადესანტო ხომალდ „ოლიშანსკიზე" გამართული საუბარი შეეხო დასავლეთ საქართველოს ძირითადი სატრანსპორტო კვანძების და სხვა სტრატეგიული ობიექტების დაცვის გადაუდებელ ღონისძიებებს, რომელთა განხორციელებასაც შავი ზღვის ფლოტის მედესანტეთა ქვეგანაყოფი საქართველოს შეიარაღებული ძალების ქვეგანაყოფებთან ერთად შეუდგა.

— ჩვენი მისია, — განუცხადა საქინფორმის კორესპონდენტს ადმირალმა ედუარდ ბალტინმა, — სამშვიდობოა... არავისთან არ ვაპირებთ ბრძოლას, დიდი სურვილი გვაქვს, დავეხმაროთ საქართველოს დაამყაროს წესრიგი თავის ამ ოდესღაც აყვავებულ ტერიტორიაზე, და ჩვენ ამას განვახორციელებთ საქართველოს შეიარაღებულ ძალებთან ერთად.

8 ნოემბერს, ნაშუადღევს შავი ზღვის ფლოტის სარდალი ადმირალი ედუარდ ბალტინი რამდენიმე ერთეული მძიმე ტექნიკისა და მედესანტეთა ქვეგანაყოფის თანხლებით შევიდა ზუგდიდში. ქალაქში რუს მედესანტეთა შესვლას მოსახლეობა გაგებით შეხვდა.

რუსი მედესანტეები საქართველოს შეიარაღებულ ძალებთან ერთად გააკონტროლებენ ზუგდიდისა და მისი შემოგარენის სტრატეგიულ სატრანსპორტო კვანძებს და, რაც მთავარია, წესრიგს დაამყარებენ ქალაქში.

იმავე დღეს ზუგდიდში გაიმართა შავი ზღვის ფლოტის სარდლის ედუარდ ბალტინის შეხვედრა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურთან ედუარდ შევარდნაძესთან, რომელიც ზუგდიდში იმყოფებოდა.

შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოს პრემიერ-მინისტრი ოთარ ფაცაცია, საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე, ვიცე-პრემიერი ავთანდილ მარგიანი, სხვა ოფიციალური პირნი.

უშიშროების საბჭო იწონებს

გაერო, 9 ნოემბერი. (იტარ-საკდეს-საქინფორმი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭო მიესალმება რუსეთის ნაბიჯებს, რომელთა მიზანია საქართველოში რკინიგზის კომუნიკაციათა უსაფრთხოების უზრუნველყოფა, განაცხადა საბჭოს თავმჯდომარემ ჟოზე ლუიშ ჟეზუშმა (კაბო-ვერდე) ორშაბათს გამართულ სხდომაზე.

„უშიშროების საბჭო დიდი შეშფოთებით ადევნებს თვალს, თუ როგორ ვითარდება მოვლენები საქართველოში, სადაც უწესრიგობას, რომელიც ახლაც გრძელდება, სამოქალაქო მოსახლეობისათვის მოაქვს მასობრივი ტანჯვა და შეიძლება კიდევ უფრო გააუარესოს ადამიანთა მდგომარეობა მეზობელ აზერბაიჯანსა და სომხეთში", — ხაზგასმულია, კერძოდ, განცხადებაში. ამავე დროს აღნიშნულია, რომ „რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს მთავრობის სურვილის შესაბამისად განხორციელებულმა ღონისძიებებმა". შედარებით გააუმჯობესა ვითარება რკინიგზების უსაფრთხოების უზრუნველყოფის დარგში, რომლებსაც „უაღრესად დიდი" მნიშვნელობა აქვთ ამიერკავკასიის სამი რესპუბლიკისთვის.

დემოკრატიული საქართველოს ქვაკუთხედი ადამიანის უფლებებისა და ღირსების დაცვის უზრუნველყოფაა

საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის მოვალეობის შემსრულებელს
ბატონ ჯამლეთ ბაბილაშვილს
საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების მინისტრს
ბატონ იგორ გიორგაძეს
საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრს
ბატონ შოთა კვირაიას

ბატონებო,

გამოვხატავ რა პატივისცემას თქვენი პიროვნებების მიმართ, თავს ვალდებულად ვთვლი გამოვთქვა ჩემი დამოკიდებულება რესპუბლიკაში შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით:

უკანასკნელი ერთი თვის განმავლობაში კომიტეტში შემოვიდა მრავალი განცხადება, პირადად მე მომმართა ბევრმა მოქალაქემ იმის შესახებ, რომ უხეშად ირღვევა ადამიანის უფლებები, რაც გამოიხატება მოქალაქეთა უკანონო დაკავებებში, დაჭერებში და დაპატიმრებებში. ამასთან სულ უფრო მწვავედ სვამენ საკითხს იმის შესახებ, რომ სამართალდამცავ ორგანოებში განსაკუთრებით კი თავისუფლების აღკვეთის ადგილებში (წინასწარი დაკავების საკნები, საგამოძიებლო იზოლატორი, ციხე და სხვ.) ხშირია ადამიანის ღირსების შემლახველი ფაქტები (ფიზიკური თუ სიტყვიერი შეურაცხყოფა, ცემა, წამება და ა. შ.).

დარწმუნებული ვარ, რომ თითოეული თქვენგანის სურვილია დაიცვას კანონის უზენაესობა, მაგრამ რა დასამალია, რომ დღეს საქართველოში უხეშად ირღვევა ადამიანის უფლებები და ილახება მისი ღირსებები. ჩვენში ადამიანი დაუცველია, მას შეიძლება წაართვან ბინა, ავტომანქანა, რაც მთავარია მოკლან, და ჩადენილი დანაშაულისათვის ზოგჯერ არავინ პასუხს არ აგებს.

კარგად მესმის, მდგომარეობა ძალიან რთულია და საქმის გამოსწორება მეტად ძნელი. თქვენი დიდი ძალისხმევაა საჭირო კანონიერების დასაცავად. ჩემი ღრმა რწმენით თქვენი შეუვალობა და შეურიგებლობა დარღვევებისადმი საწინდარი იქნება ადამიანის უფლებათა დაცვის საქმეში.

თავი არ უნდა მოვიტყუოთ, შეუძლებელია უკანონობის გზით დემოკრატიული სახელმწიფოს აშენება, ასე ფიქრობს ჩვენში ყველა გონიერი კაცი. **ასეთია ჩვენი სახელმწიფოებრივი კურსი, მით უმეტეს, ქვეყნის მეთაურს მიაჩნია, რომ დემოკრატიული საქართველოს ქვაკუთხედი ადამიანის უფლებებისა და ღირსების დაცვის უზრუნველყოფაა.**

პირადად მე, ადამიანის უფლებების დაცვა ყოველთვის მიმაჩნდა და განსაკუთრებით დღეს, სამოქალაქო ომის ფონზე, მიმაჩნია უზენაეს საქმედ. ვფიქრობ ჩვენი აზრები აქ სავსებით ემთხვევა ერთმანეთს. ამიტომ თქვენი მხარდაჭერის იმედი მაქვს და თქვენს მხარდაჭერას კი თქვენ მიერ დაკავებული თანამდებობების გამო, ამ საკითხის დადებითად გადაჭრაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

პატივისცემით **ალექსანდრე კავსაძე.**

საქართველოს რესპუბლიკის ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათაშორის ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარე.

სოხუმი:

ჩემი სიყვარული და ტკივილი

როგორც ცნობილია, აფხაზეთის იუსტიციის სამინისტრო დროებით თბილისში მოქმედებს. საქინფორმის კორესპონდენტმა რამდენიმე კითხვით მიმართა აფხაზეთის იუსტიციის მინისტრს ოთარ ზენიძეს:

— როგორია თქვენი აზრი იმ მოვლენათა შესახებ, რომლებიც ჩვენს სახელმწიფოში ხდება?

— ერთ ინტერვიუში ძნელია ყველაფრის თქმა, მაგრამ შევეცდები. უწინარეს ყოვლისა, აფხაზეთზე მოგახსენებთ. სამწუხაროდ, აქ ცალკეული ჩვენი ვაითანამემამულის „მეშვეობით" წავაგეთ ბრძოლა, მაგრამ არა ომი და მით უმეტეს — აფხაზეთში. ასე რომ, ყველაფერი წინ არის. მეორე — ხშირად შორს ვართ რეალობისგან და გვიყვარს სასურველის სინამდვილედ აღქმა. რეალობით უნდა ვხელმძღვანელობდეთ.

— რა გაქვთ მხედველობაში?

— საქართველოს შესვლა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში: ზოგიერთებს ეს თანამეგობრობა სურს წარმოგვიდგინოს რაღაც ჯოჯოხეთად, საფრთხობელად, გულში კი სულ სხვაგვარად ფიქრობს. დიდი სურვილი მაქვს საქართველო ევროპის ეკონომიკური გაერთიანების წევრად ვიხილო, მაგრამ ცაში ნუ ვიფრენთ, მოდით, ჯერ ღირსეული ადგილი დავიკავოთ მეზობლებს შორის, დანარჩენი კი არც ისე შორს იქნება. ჩვენს ხალხს მუდამ ჰქონდა საკუთარი სიამაყის გრძნობა და კარგადაც შეეძლო ვითარების გათვალისწინება. და ბოლოს, დემოკრატიისა და სამართლებრივი საზოგადოების, იმ ცნებების შესახებ, რომლებსაც ხშირად ვიხსენებთ. საქართველოში ეს ცნებები მხოლოდ იმ პირობით გაიმარჯვებს, თუ კანონის უზენაესობა იქნება.

— და მაინც, როგორ უნდა გადაწყდეს აფხაზეთის საკითხი?

— იმ ადამიანებს განვეკუთვნები, რომლებიც დემონსტრაციით ან ძალისმიერი ხერხებით პრობლემების გადაჭრის წინააღმდეგნი არიან. ამ პოზიციისთვის ბევრჯერ გადამიტანია ცხოვრებაში გასაჭირი, მაგრამ მუდამ მისი ერთგული დავრჩები. არძინბა და მისი ხროვა დამნაშავენი არიან და საქართველოს შინაგანი კანონებისა და საერთაშორისო სამართლის ნორმებით მთელი სიმკაცრით უნდა დაისაჯონ თავიანთი ხალხის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისთვის, ქართველი ხალხის გენოციდის, მსოფლიოში უპრეცედენტო ძალმომრეობის ფაქტებისთვის. აფხაზებმა, ბოლოს და ბოლოს, უნდა გამოიჩინონ სიბრძნე და საკუთარი ხალხის ინტერესებისათვის განაჩენი უნდა გამოუტანონ ამ ხროვას.

ერთ-ერთ მთავარ მომენტად მიმაჩნდა და მიმაჩნია ის, რომ დაიდოს ყოვლისმომცველი და სრულუფლებიანი ხელშეკრულება რუსეთთან. შემდეგ კი უნდა შესრულდეს ეს ხელშეკრულება და არა მარტო ეს... თუნდაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ერთი გადაწყვეტილება — გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის რეზოლუცია „ინტერვენციისა და სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩარევის დაუშვებლობის შესახებ".

— როგორ აფასებთ კავკასიის ხალხთა კონფედერაციის საქმიანობას?

— ეს თვითმარქვია, უკანონო, ტერორისტული ორგანიზაცია. რუსეთის იუსტიციის სამინისტროს იგი რეგისტრაციაში არ გაუტარებია, თუმცა, ახლახან მათ შეიტანეს ასეთი განცხადება. მაგრამ, ვიმედოვნებ, რომ რუსეთის იუსტიციის სამინისტრო, და უწინარეს ყოვლისა, მინისტრი ბორის კალმიკოვი, იმის მიუხედავად, რომ იგი ამ რეგიონის მკვიდრია, რეალურ პოზიციას დაიკავებენ. ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელობამ დანაშაული ჩაიდინა საქართველოში.

— როგორი უნდა იყოს დღევანდელი პოლიტიკოსი?

— ჯერ ერთი, ვისაც ამის პრეტენზია აქვს, უნდა იცოდეს, რომ პოლიტიკოსობა პროფესიაა. პოლიტიკოსის მთავარი ნიშნები კი, ჩემი აზრით, უნდა იყოს სამშობლოს სიყვარული, რეალურობა და მოქნილობა.

— როდის დატოვეთ სოხუმი?

— სოხუმი ჩემი სიყვარული, სიამაყე და ტკივილია. 27 სექტემბერს ცრემლი მაღრჩობდა, როცა ვხედავდი, როგორ ზეიმობდნენ მის აღებას ადამიანები, რომლებიც, ალბათ, შუა საუკუნეებში უნდა ცხოვრობდნენ. 28 სექტემბერს, დილით, არ ვიცი, რატომ, მაინც რაღაც იმედი დამრჩა, მაგრამ სამწუხაროდ, ეს მხოლოდ ჩემი სურვილი ყოფილა. გაგრიდან მოყოლებული, ბევრი ახლობელი ადამიანი დამეღუპა. ქედს ვიხრი მათი ვაჟკაცობისა და ხსოვნის, უწინარეს ყოვლისა, ჟიული შარტავას ხსოვნის წინაშე. ისეთ ადამიანებთან ყოფნა, როგორიც ბატონი ჟიული იყო, ცხოვრებაში სასიამოვნო და ადვილია.

არანაკლებ მტკენს გულს სვანეთი, უღელტეხილი, რომელიც ზოგისთვის სიცოცხლის გზა იყო, ზოგისთვის — სიკვდილისა.

გულიკო მარკოზაშვილი

საქართველო — მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრში

საქართველოს რესპუბლიკის მუდმივი წარმომადგენლობა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან, იტყობინება

მას შემდეგ, რაც გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც ჩამოყალიბდა მსოფლიოს ქვეყნების ერთმნიშვნელოვანი მიდგომა აფხაზეთის რეგიონში სეპარატისტთა მოქმედების შედეგად შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით, დღის წესრიგში დადგა შემდგომ მოქმედებათა განსაზღვრა საქართველოს მთლიანობის შენარჩუნებისა და უკიდურეს გაჭირვებაში ჩავარდნილი დევნილების დასახმარებლად. ჰუმანური დახმარების გადაუდებლად აღმოჩენის აუცილებლობის შესახებ რესპუბლიკის ხელმძღვანელის მიმართვები მიიღო და გაიზიარა მსოფლიოს რიგმა ქვეყნებმა, საერთაშორისო ჰუმანურმა ორგანიზაციებმა.

დღის წესრიგში დადგა გაეროს სამხედრო მეთვალყურეთა საქმიანობის პერსპექტივის განსაზღვრა სეპარატისტთა შეიარაღებული ფორმირებების მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე, საქართველოდან ფაქტობრივი ინფორმაციის მიღების ორგანიზება იმ დანაშაულებათა შესახებ, რომლებიც ჩადენილია მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ. უშიშროების საბჭოს წევრი ქვეყნების, მასთან ერთად ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გამართულმა შეხვედრებმა დაგვანახა, რომ აღნიშნული პრობლემებისადმი მიდგომა არაერთგვაროვანი იყო. გამოხატეს რა სრული მხარდაჭერა რესპუბლიკის ხელმძღვანელობის ძალისხმევისადმი, ცალკეული ქვეყნების მისიებში საეჭვოდ მიიჩნიეს სამხედრო მეთვალყურეთა ყოფნის ვადის გაგრძელების წარმატება. არგუმენტად მოჰყავდათ სეპარატისტთა მიერ მეთვალყურეთა ჯგუფის ბლოკირების შესაძლებლობა, საერთაშორისო ნორმებისა და კანონების იგნორირება, რასაც შეუძლია საფრთხეც შეუქმნას გაეროს წარმომადგენლებს. ჩვენი პოზიცია სრულად გაიზიარეს და მხარი დაგვიჭირეს ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის, რუსეთის დიპლომატიურმა მისიებმა.

27 ოქტომბერს გამოქვეყნდა გაეროს გენერალური მდივნის მოხსენებაც, რამაც კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ შექმნილი კრიზისული ვითარება, იმ მნიშვნელოვანი დანაკარგების მიუხედავად, რაც რესპუბლიკამ ბოლო პერიოდში განიცადა, დაუშვებელია ინერტულობა, უხეში ძალის მიმართ რაიმე დათმობა. მიღებული ცნობებისა და მათი ანალიზის საფუძველზე გენერალურმა მდივანმა თავის მოხსენებაში ჩამოაყალიბა პოზიცია შეუნელებელი ქმედებისა და მეთვალყურეთა ჯგუფების სეპარატისტთა მიერ დაკავებულ რეგიონში დარჩენის აუცილებლობის შესახებ. შესაბამისი პროექტის მომზადება გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივმა წევრმა, დიდი ბრიტანეთის მისიამ დაივალა, ჩვენს მიერ ჩამოყალიბებული პოზიციის მხარდასაჭერად სხვადასხვა დონეზე აუცილებელი კონსულტაციებისას მხარში ამოგვიდგნენ ამერიკის, რუსეთის წარმომადგენლები. საქართველოს რესპუბლიკის ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობების კომიტეტის თავმჯდომარის ა. კავსაძის წინადადებით რეზოლუციის პროექტში შეიტანეს პუნქტი, რომელიც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს საერთაშორისო ჰუმანური კანონების დაცვის უზრუნველსაყოფად ზომების მიღებას. მრავალმხრივ მოლაპარაკებათა მიმდინარეობისას განსაკუთრებულად გაესვა ხაზი იმ გარემოებას, რომ დანაშაულებანი ჩადენილია არა მარტო ქართველი, რუსი, ებრაელი, სომეხი თუ სხვა ეროვნების წარმომადგენელთა, არამედ იმ აფხაზთა მიმართ, რომლებსაც გაუთვალისწინებული აქვთ არძინბას ჯგუფის პოლიტიკის არსი, გაჩაღებული შეიარაღებული კონფლიქტის დამღუპველობა ეთნიკური აფხაზების გენოფონდისთვის, სეპარატისტთა დამოკიდებულება გარეშე რეაქციულ ძალებთან, ვინც უარი თქვა ძმათამკვლელ ომში მონაწილეობაზე სეპარატისტთა მხარეს.

4 ნოემბერს უშიშროების საბჭოს სხდომაზე დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა, რომ გაერო არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ რეზოლუციის მიღებით, საჭიროა პრაქტიკული ნაბიჯების განხორციელება, მათ შორის მეთვალყურეთა ჯგუფის რეგიონში დატოვება. მეთვალყურეთა მისიის საქმიანობის გაგრძელებისადმი სრული მხარდაჭერა გამოხატა საფრანგეთის წარმომადგენელმა — აღინიშნა გაეროს შეუნელებელი ძალისხმევის გაგრძელების აუცილებლობა. ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მისი მთავრობა ასეთი გადაწყვეტილების მიღებაში ხედავს გაეროს მისწრაფებას კონფლიქტის აღმოფხვრის მიღწევა დაუკავშიროს საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფას, რასაც მისი ქვეყანა ყოველმხრივ დაუჭერს მხარს.

რუსეთის მისიის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ საქართველოში გაეროს ყოფნა უნდა გაფართოვდეს, მან რეაგირება უნდა მოახდინოს ყველა პროცესზე, რაც უკავშირდება პრობლემის დაძლევას, საჭიროა კიდევ უფრო განმტკიცდეს გაეროსა და ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის ურთიერთქმედება. რუსეთის მხარე მზადაა მათთან თანამოქმედებით ყოველმხრივ შეუწყოს ხელი სამშვიდობო პროცესებს აფხაზეთის რეგიონში, სტაბილიზაციას მთლიანად საქართველოში.

გაეროში საქართველოს წარმომადგენლობა, ისევე როგორც მისი საელჩო ამერიკის შეერთებულ შტატებში, თავისი საქმიანობის მთავარ ამოცანად მიმდინარე ეტაპზე მიიჩნევს მსოფლიო საზოგადოებრიობის მუდმივი ყურადღებისა და პოზიტიური ჩარევის უზრუნველყოფას რესპუბლიკაში მიმდინარე პროცესებში, იმ პროგრამათა რეალიზაციის ხელშეწყობას, რომლებიც ჩვენი დახმარებისთვისაა გამიზნული. სამწუხაროდ, ქვეყანაში შიდა განხეთქილებებმა, აშკარა ღალატმა არ მოგვცა საშუალება სრულად გამოვიყენოთ ეს დახმარება, კატასტროფას მიუახლოვა ეკონომიკური ვითარება. მხოლოდ შეთანხმებული, გეგმაზომიერი მოქმედებითაა შესაძლებელი წარმატების მიღწევა. ასეთივე პერსპექტივა ელოდება არა მარტო საქართველოს, არამედ მთელ ამიერკავკასიას იმ შემთხვევაში, თუ არ იქნა გათვალისწინებული გაუცხოების, პოპულიზმის, პოლიტიკური სიბეცის, დიპლომატიური მიდგომის უგულებელყოფის მწარე გაკვეთილები.

ფირმა «ამულეტი»

დეფიციტური წამლები გადარიცხვით

შეღავათების ეს ახალი სისტემა ძალიან ხელსაყრელია

დღევანდელი ინფლაციის პირობებში.
ფირმა ამულეტის აფთიაქი
(შ. კოსტავას 5, ლიტერატურის ინსტიტუტთან)
კერძო პირებსა და ორგანიზაციებს გადარიცხვით სთავაზობს დეფიციტურ წამლებს. ფული ფირმის ანგარიშზე უნდა გადაირიცხოს „ივერთბანკში", ბანკის მიერ გაცემული ქვითრით კი შეგიძლიათ შეიძინოთ წამლები შეტანილი თანხის ფარგლებში.
და რაც მთავარია:

წამლების შეძენიდან სამი თვის შემდეგ ფირმა კლიენტს უბრუნებს მთლიანი თანხის 30 პროცენტს.

ჩვენი ანგარიშის ნომერი 100468878,
ბანკი „ივერთბანკი" მფო 522942
ფირმა «ამულეტი»
ბანკის მისამართია იაშვილის 18

ფირმა „ამულეტი".

სააგენტო ტელე რეკლამა

ფირმა «ეკობიზნესი» ყიდის

- პაზის მარკის ავტობუსს 1991 წლის გამოშვება
- გაზ-52 მარკის სატვირთო ავტომობილს ფურგონით. 1989 წლის გამოშვება.
- გაზ-66 მარკის სატვირთო ავტომობილს, 1991 წლის გამოშვება.
- უაზის ციპის სატვირთო ავტომობილს ფურგონით. 1989 წლის გამოშვება.
- მოსკვიჩ-ფურგონს, არასამუშაო მდგომარეობაში, 1986 წლის გამოშვება.
- ახალი არგონის შედუღების აპარატს. -ახალ ტრანსფორმატორ ცტრ-400-ს
- ახალ ღასტურულ ნახევრადმისაბმელს, მარკა მ-828, 15 ტ. ტვირთამწეობით.
- დახლმაცივარს, მუშა-მდგომარეობაში.

ფასები შეთანხმებით
მისამართი:
თოიძის ქ.№ 30,
ტელ: 96-84-18

სამრეწველო-კომერციული
ფირმა „თბილღვინო"

მოსახლეობისაგან შეუფერხებლად შეისყიდის 0,7 ლ. ტევადობის ღვინის ბოთლს 700 კუპონად.
ბოთლი უნდა იყოს გარეცხილი, საცობ და ეტიკეტმოცლილი.
ბოთლის შესყიდვა მოხდება შემდეგ მისამართებზე:
1. ს.კ ფირმა „თბილღვინო"-ს მაღაზია № 1 — სარაჯიშვილის გამზ., №2, („თბილღვინო"-ს ტერიტორიაზე).
2. ს.კ ფირმა „თბილღვინო"-ს მაღაზია № 2 — ხომლელის ქ., № 1, (მეტრო „ვარკეთილი").

ს.კ. ფირმა „თბილღვინო"-ს დირექცია.

საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს
იაკობ გოგებაშვილის სახელობის
პედაგოგიკურ მეცნიერებათა
ეროვნული ინსტიტუტი
აცხადებს ასპირანტურაში მიღებას შემდეგ
სპეციალობებზე:

წარმოებიდან მოწყვეტით:
პედაგოგიკის თეორია და ისტორია — I ადგილი,
ფიზიკური აღზრდის მეთოდიკა — I ადგილი,
ქიმიის სწავლების მეთოდიკა — I ადგილი,
გეოგრაფიის სწავლების მეთოდიკა — I ადგილი,
ბიოლოგიის სწავლების მეთოდიკა — I ადგილი,
შრომითი სწავლების მეთოდიკა — I ადგილი,
მიზნობრივ ასპირანტურაში:
პედაგოგიკის თეორია და ისტორია — I ადგილი
(თელავის პედაგოგიური ინსტიტუტისათვის),
ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა — I ადგილი
(ბათუმის პირველი პროფილური გიმნაზიისათვის),
ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა — I ადგილი
(საქართველოს მეცნიერებათა და ტექნიკის კომიტეტისათვის),
მათემატიკის სწავლების მეთოდიკა — I ადგილი
(თელავის პედაგოგიური ინსტიტუტისათვის),
ფიზიკის სწავლების მეთოდიკა — I ადგილი
(თელავის პედაგოგიური ინსტიტუტისათვის).

ასპირანტურაში წარმოებიდან მოწყვეტით მიიღებიან მოქალაქენი არა უმეტეს 35 წლისა, ხოლო წარმოებიდან მოუწყვეტლად არა უმეტეს 45 წლისა, რომელთაც აქვთ უმაღლესი განათლება, სპეციალობით მუშაობის არა ნაკლებ 2 წლის სტაჟი და მეცნიერული კვლევის უნარი.
მიზნობრივ-ასპირანტურაში რეკომენდებული პირები წარმოადგენენ დაწესებულების შუამდგომლობას.
საბუთების წარმოდგენა უნდა მოხდეს განცხადების გამოქვეყნებიდან ერთი თვის განმავლობაში.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ინსტიტუტის სამეცნიერო ნაწილში (მისამართი: ქ. თბილისი, მიხეილ ზანდუკელის ქუჩა № 1, (ყოფილი ჯავახიშვილის ქუჩა) ტელ: 99-80-00.

გიწვევთ მაღაზია
-სოლოლაკი-

ჩვენ მხოლოდ საუკეთესო ფირმების
პროდუქციით ვვაჭრობთ!
დღეს თქვენთვის
„სოლოლაკშია"
ცნობილი იტალიური ფირმების კოსმეტიკა და
პარფიუმერია, ქალის, მამაკაცის ტანსაცმელი და
ფეხსაცმელი, სხვადასხვა სახის შალის ძსოვილი

ჩვენ ვიღებთ და ვყიდით საქონელს როგორც ნაღდ, ისე უნაღდო ანგარიშით

იჩქარეთ!

ეწვიეთ
„სოლოლაკს" სოლოლაკში
ლერმონტოვის ქ. 22
ტელ.: 983311

განუკითხაობა

თევზი მართლაც თავიდან ყარს,

ანუ რატომ ხდებოდა და ხდება სერიოზული დარღვევები წალკის რაიონში

პარლამენტში თუ ზემდგომ რესპუბლიკურ ორგანოებში წალკის რაიონიდან სისტემატურად მოდიოდა საჩივრების დასტა. საქართველოს ამ უძველესი რეგიონის მრავალეროვანი მოსახლეობა შეშფოთებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ აქ ფეხქვეშ ითელებოდა ადამიანის ღირსება, უფლება და ინტერესი, უხეშად ირღვეოდა კანონი და კანონიერება. ამის „შემოქმედნი" კი თვით რაიონის ხელმძღვანელები იყვნენ, ვისაც ადგილზე უშუალოდ ებარა საქმისა და ხალხის ბედი.

ერთ-ერთი კოლექტიური განცხადება პარლამენტმა რესპუბლიკის პროკურატურას გადაუგზავნა, რომელიც გამოცდილმა იურისტებმა გულდასმით შეისწავლეს. სამწუხაროდ, საჩივარში აღნიშნული ყველა ფაქტი დადასტურდა.

უჭირდა სოფელს, მინდვრის გაცხარებულ სამუშაოებს აშკარად ემუქრებოდა ჩაშლის საფრთხე. ამ დროს რესპუბლიკაში გამოინახა რეზერვები და რაიონს 131,1 დიზელის საწვავი მიეწოდა. სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს ამით თითქოს საშველი უნდა დადგომოდა. მაგრამ ამაოდ: 43 ტონაზე მეტი საწვავი „ხელს გააყოლეს" და დანაკლისში უჩვენეს. სახელმწიფო მეურნეობებს მცირე რაოდენობით გაუნაწილეს. ამის გამო მინდვრის, საკვების დამზადებისა და სხვა სამუშაოები შეუსრულებელი დარჩა, და რაიონმა მნიშვნელოვანი ზარალი განიცადა. ამ არაკეთილსინდისიერ, ანტიპოლიტიკურ ოპერაციებს უშუალოდ რაიონის გამგეობის თავმჯდომარე დიმიტრი იანაკოვი, მისი პირველი მოადგილე მიხეილ საბაძე და მრჩეველი პავლე სარიევი ხელმძღვანელობდნენ, და ცხადია, მთელი პასუხისმგებლობაც მათ ეკისრებათ.

იმავე დ. იანაკოვმა სოფელ ქვემო ხარაბას სახელმწიფო მეურნეობის დირექტორზე ფ. ხაჯიევაზე თანამდებობრივი ზეგავლენა მოახდინა და აიძულა მისი ამფსონებისაგან, რომელთა ვინაობა დაუდგენელია, საკმაოდ მაღალ ფასში შეესყიდა გამოსაყენებლად ყოვლად უვარგისი საწვავი. მისი ღირებულების ნაწილი სოფლის მოსახლეობამ შეაგროვა, ნაწილი კი იმავე იანაკოვის მითითებით, კანონის დარღვევით, აგრომრეწვბანკის რაიონული განყოფილებიდან ხელზე გამოიტანეს. ამ უკანონობას, ცხადია, ბანკის მმართველი წინ არ აღუდგა. ყველაზე მკრეხელური კი ის არის, რომ თაღლით რეალიზატორებს თანხა უშუალოდ რაიონის გამგებლის კაბინეტში დ. იანაკოვის თვალწინ გადაეცა. აი, როგორ აცდუნა ანგარებამ რაიონის თავკაცი. იგი არა თუ ებრძოდა დამნაშავეობას, თავად გახდა მისი ორგანიზატორი.

წალკის რაიონის ხელმძღვანელები, ეკითხებათ თუ არა, ხელს აფათურებენ ყველგან და ყველაფერში. უხეშად ერევიან საფინანსო და საბანკო საქმიანობაში, რასაც, ცხადია, დანაშაული და დარღვევები მოსდევს. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ხელფასები, დახმარებები, პენსიები ვერ მიიღეს პედაგოგებმა, კულტურისა და ჯანმრთელობის დაცვის დარგის მუშაკებმა, სოციალურად დაუცველმა პირებმა. მიზეზი? — თურმე, ნუ იტყვით, ფულის ნიშნების უქონლობაა. ფაქტობრივად კი აქაც კრიმინალთან გვაქვს საქმე: რაიონის ხელმძღვანელთა მითითებით ბანკის მუშაკებმა სხვადასხვა დანიშნულებით სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციებს 30 მილიონზე მეტი ნაღდი კუპონი მისცეს. დაუჯერებელია, რომ ამ საეჭვო ოპერაციებს სიკეთე ედო საფუძვლად.

ეჭვს გვიღრმავებს სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი და სამწუხარო დანაშაულებრივი ფაქტებიც. მიმდინარე წლის ივნისში რაიკოოპკავშირმა მიიღო მოსახლეობისთვის სიებით გასაცემი 23.380 ლიტრი მზესუმზირის ზეთი. რაიონის ხელმძღვანელებმა ამ შემთხვევაშიც „გამოიჩინეს" თავი. მათი მითითებით ზეთი გაზრდილი ფასით გაიყიდა. და ისედაც შეჭირვებულ მოსახლეობას 96.638 მანეთი წასცანცლეს, რასაც არანაირი გამართლება არა აქვს.

არეულობა და ქაოსი საწვავის განაწილებაში, ფასების თვითნებური გაზრდა და მომხმარებლის მოტყუება არავის შერჩება.

საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურამ ამ საკითხებზე აღძრა სისხლის სამართლის საქმეები და წინასწარი გამოძიებისათვის საგამოძიებო სამმართველოს გადასცა.

რაიონის გამგეობის თავმჯდომარის ნებართვით ხუთმა სახელმწიფო მეურნეობამ თვითნებურად შექმნილ უკანონო, კერძო, არარეგისტრირებულ საწარმოს ჩააბარა 198 ტონამდე რძე, რითაც ჯიბე გაისქელეს მაფიოზებმა. იქ რძე სანიტარიულ-ჰიგიენური და ვეტერინარული წესების დარღვევით მუშავდებოდა და ეს მაშინ, როდესაც მძლავრი რძის გადამამუშავებელი სახელმწიფო კომბინატი ნედლეულის მწვავე დეფიციტს განიცდიდა. აღნიშნული რაოდენობის რძე საწარმოებსაც საკმაო მოგებას მისცემდა და რაიონის ბიუჯეტიც სოლიდური თანხებით შეივსებოდა. შორს არის განთქმული თრიალეთური კარტოფილის ქება, მაგრამ მისი წარსული დიდება თანდათანობით დავიწყებას ეძლევა. უკანასკნელ ორ წელიწადში კარტოფილის ნათესი ფართობი 2070 ჰექტარით შემცირდა. შარშან, ზოგიერთ მეურნეობაში ბელორუსის რესპუბლიკიდან შემოტანილი სათესლე კარტოფილი უყაირათობითა და მოუვლელობით დაალპეს და ათობით ტონა საფურაჟედ ჩამოწერეს, ხოლო რაც დაითესა, უხარისხო იყო. ამიტომ გასაკვირიც აღარ არის, რაიონში კარტოფილის მოსავლიანობა და წარმოება მკვეთრად რომ შემცირდა. სამწუხაროდ, მდგომარეობის გამოსწორების პერსპექტივაც არ ჩანს.

თრიალეთის ზეგანი მეცხოველეობის შესაშური მხარეა. თბილისშიც უხვად მოდიოდა აქაური პროდუქცია — ახალი ხორცი, ყველი, ერბო, კარაქი, ეს წარსულის მხოლოდ მოგონებაა. ახლა ეს ძვირფასი პროდუქტი თრიალეთშიც ძნელი საშოვნელია. მოკლე პერიოდში მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა საზოგადოებრივ მეურნეობებში თითქმის ერთი მესამედით შემცირდა, ცხვარიც თითქმის განახევრდა, ღორი კი უმნიშვნელო რაოდენობით დარჩა. რაიონის ხელმძღვანელობის წაყრუებამ ისე გაათამამა საზოგადოებრივი მეურნეობები, რომ (არცთუ ისე უანგაროდ) პირუტყვს ცოცხალი წონით საწვავზე, მარაგნაწილებსა და სხვა საქონელზე ცვლიან.

რაიონში უხეშად ირღვევა ადამიანთა შრომითი უფლებებიც. დ. იანაკოვის სურვილითა და ერთპიროვნული გადაწყვეტილებით, რაც დამახასიათებელია მისი მუშაობისათვის, დაითხოვეს ხუთი სახელმწიფო მეურნეობის დირექტორი. რაიონის პროკურატურამ ეს გააპროტესტა, მაგრამ გამგეობამ ყური არ შეიბერტყა და პროტესტები არ განიხილა. უფრო მეტიც, თრიალეთის სახელმწიფო მეურნეობის ყოფილი დირექტორი შ. აიტოვი გამგეობამ აღადგინა სამუშაოზე, მაგრამ ექვსი დღის შემდეგ მორიგ სხდომაზე იგი კვლავ გაათავისუფლა დაკავებული თანამდებობიდან იმ მოტივით, რომ ამ უკანასკნელმა დაადასტურა გამგეობის თავმჯდომარის მამხილებელ კოლექტიურ განცხადებაზე თავისი ხელმოწერა(?!) დასკვნა ერთია: წალკაში ზეიმობს ვოლუნტარიზმი და სუბიექტივიზმი, სამართლიანი კრიტიკისთვისაც კი ადამიანები უმოწყალოდ იდევნებიან.

საქმე ის გახლავთ, რომ წალკის რაიონის მესვეური დ. იანაკოვი ცას ქუდად არ მიიჩნევს და დედამიწას ქალამნად. მისი თავხედობა იქამდე მივიდა, რომ ყველანაირად უშლიდა ხელს შემოწმებას, რაიონის საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს აუკრძალა მათთვის საჭირო მასალების მიწოდება, რამაც საკითხის შესწავლისას სერიოზული სიძნელე შექმნა.

რომ იტყვიან, თევზი თავიდან იწყებს ლპობას.

დაეცა სახელმწიფო და საშემსრულებლო დისციპლინა, მოიშალა ეკონომიკა, მკვეთრად გაუარესდა რაიონის სოციალურ-ეკონომიკური ვითარება, ცხოვრების დონე, განიავდა საზოგადოებრივი და პირადი ქონება. ასეთი განუკითხაობის შედეგია ილაჯგაწყვეტილი მოსახლეობა რომ ტოვებს მამაპაპურ საცხოვრისს. იცლება რაიონში ერთადერთი ქართული სოფელი რეხა. ბერძნული მოსახლეობა უმთავრესად საბერძნეთსა და სხვა ქვეყნებში მიეშურება. მიგრაციის ინტენსიურობა სულ უფრო ფართო და საშიშ ხასიათს იღებს. სამუდამოდ გვშორდებიან თურქეთიდან დევნილნი, რომლებიც ძნელბედობის ჟამს შევიფარეთ, ვიძმეთ. მათ ადგილებში მიმდინარეობს არაგეგმური, ქაოსური ჩასახლება. სახლებს და, ცხადია, მიწებსაც ყიდულობს სხვა რესპუბლიკიდან ჩამოსული არაქართული მოსახლეობა, მაშინ, როცა საქართველოს ისედაც მძიმე გასაჭირი ადგას, მშობლიურ მიწა-წყალს და კერას მოწყვეტილია, დასაბინავებელი და დასასახლებელია ასიათასობით დევნილი, მათ მშობელ მიწა-წყალს კი უცხო ჯილაგი ეპატრონება. რაიონის ხელმძღვანელები ამ საქმეში მარტო მეთვალყურის როლში როდი გვევლინებიან, პრაქტიკულად უწყობენ ხელს ქართული მიწის ფარულ ანექსიას. ამ მხრივ ბევრს სცოდავენ რაიონის სამართალდამცავი ორგანოებიც. ეროვნულ საქმეს განზე უდგანან პროკურატურა, პოლიცია, სასამართლო. ნოტარიუსის შესახებ კი გვითხრეს: თავის სტიქიაშია, დაუბრკოლებლად უფორმებს უკანონოდ ნაყიდ „კარმიდამოს ყველას, ვინც უნდა იყოს მყიდველიო".

„საქართველოს რესპუბლიკის" რედაქცია კვლავაც დაუბრუნდება მიწების გაჩუქება-გაყიდვის „წალკურ მეთოდს" და კონკრეტულ დამნაშავეთა შესახებ დაწვრილებით მოგითხრობთ.

ის, რაც რაიონში ხდება, აღმაშფოთებელია. კარგახანია რაიონის ხელმძღვანელებმა მოსახლეობის თვალში სახელი გაიტეხეს. და თუ კიდევ ასე დიდხანს გაგრძელდა და ისინი არ ჩამოაშორეს დაკავებულ თანამდებობებს, უნდა ველოდეთ უარეს შედეგს. სოციალურ აფეთქებასაც კი. ამიტომ ლპობაშეპარული თავი დროულად უნდა მოვაცალოთ თევზს.

საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურამ გამოვლენილი ფაქტების შესახებ აცნობა ქვეყნის პარლამენტს, სახელმწიფოს მეთაურსა და მინისტრთა კაბინეტს და ეჭვგარეშეა, ისინი მიიღებენ ზომებს.

სხვედისწერო შეცდომა არაერთხელ დაგვიშვია. მწარე სინამდვილე მალაპარაკებს დაუფარავად განვაცხადო: მივხედოთ თრიალეთს, ვიდრე ურემი სულ არ გადაბრუნებულა, თორემ მართლაც გვიან იქნება თითზე კბენანი.

დავით ბიწაძე.

პურისთვის — მარნეულში?

პური გნებავთ? გაემგზავრეთ მარნეულში, სადაც იგი საკმარისად არის. ეს რეგიონი, რომელიც რესპუბლიკაში ბოსტნეულისა და საადრეო კარტოფილის ერთ-ერთი წამყვანი მიმწოდებელია, უკანასკნელ ხანს გახდა ისეთი სტრატეგიული პროდუქტის რეალიზაციის ცენტრიც, როგორიც პურია. პურით ვაჭრობენ არა სახელმწიფო მაღაზიაში, არამედ უშუალოდ რკინიგზის ვაგზლის ბაქანზე. ათობით, ზოგჯერ კი ასობით თბილისელი, ახლომახლო ადგილების მცხოვრებნი პურს ეზიდებიან მეზობელ რაიონში, ამასთან, სულ სხვადასხვა ხარისხისას, მაგრამ ჰყიდიან არა გაუფასურებულ კუპონზე, არამედ უფრო სამედო ფულზე: კილოგრამს 200-300 მანეთად.

სპეკულანტთა იმ არმიის წარმომადგენლები კი, ვინც თბილის-სადახლოს დილის ექსპრესში ადგილებისათვის სასტიკ ბრძოლაში ვერ შევიდა ვაგონში, ძალიან როდი წუხს. იქვე, ვაგზალთან, „დეზერტირის" ბაზარზე ისინი, აკრძალვის მიუხედავად, სარფიანად გაყიდიან თავიანთ საქონელს და კარგადაც ჩაიჯიბავენ... მაგრამ თბილისელებმა რა ქნან, რომლებსაც კატასტროფულად არ ჰყოფნით პური? მათ ერთი რამ რჩებათ: მრავალი საათის განმავლობაში, დღისით და ღამით იდგნენ რიგებში. და თუკი მაინც ვერ იყიდიან პურს თბილისის მაღაზიებში, გულს ნუ გაიტეხენ: მარნეული ხომ გვერდით არის, სადაც პური მუდამ ბლომად მიაქვთ გასაყიდად.

და კვლავ სათბობის უკმარისობა...

გურჯაანის რაიონში რვა ათასი ჰექტარი სახნავი მიწებიდან, რომლებიც ხორბლისათვის არის გათვალისწინებული, დამუშავებული და ამ კულტურით დათესილია სულ სამი ათასი ჰექტარი. მიზეზი დიზელის სათბობის უქონლობაა. თუ ეს პრობლემა დროულად გადაიჭრება, ვარაუდობენ, რომ რაიონის მეურნეობები გაისად მოიწევენ სულ 18 ათას ტონა ხორბლის მოსავალს. აქედან 13 ათასი სავსებით დააკმაყოფილებს რაიონის მოთხოვნილებებს.

— რესპუბლიკის მთავრობის ხელშეწყობით, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს თენგიზ ჩხიკვაძეს რაიონის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ ბერდია ფურცელაძემ — იმედი გვაქვს, რომ მივიღებთ 150 ტონა დიზელის სათბობს. წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული გავხდებით განვახორციელოთ ბარტერული ოპერაცია და ჩვენი მეღვინეების პროდუქციის ნაწილი გავცვალოთ აზერბაიჯანულ სათბობში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალსაზრისი

გვჭირდება მოქმედების კონკრეტული პროგრამა

რით ვუშველოთ ჩვენს დაბეჩავებულ, გაბაზრებულ ეკონომიკას?

ეკონომიკური კრიზისი სულ უფრო ღრმავდება, ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი და ეროვნული შემოსავალი კი სისტემატურად მცირდება, ქვეყნის ეკონომიკა იშლება და ქუცმაცდება. ამგვარ რთულ ვითარებაში ის, ვინც ეკონომიკურ ძალას, პირველ რიგში, ბიუჯეტს არ ფლობს, უთუოდ სერიოზული პოლიტიკური და სოციალური პრობლემების წინაშე დადგება.

ისტორიაში დღემდე ცნობილ რეფორმებს სოციალური შვება, ეკონომიკური აღმავლობა და ფიზიკური განვითარება მოსდევდა. მიუღებელია რეფორმა, რომელიც ამ მიზანს არ ისახავს. გაუგებარია ისეთი რეფორმა, რომელსაც მოსახლეობის სოციალური ჩაგვრა, ეკონომიკური გაღატაკება, ფიზიკური გამოფიტვა და ზნეობრივი დაკნინება მოსდევს. ამგვარი ცრურეფორმატორული საქმიანობის შედეგად საბაზრო ეკონომიკის ნაცვლად იქმნება გაბაზრებული ეკონომიკა, სადაც მწარმოებლის ადგილს იკავებს გადამყიდველი, თავისუფალი კონკურენციის ნაცვლად ბატონობს ეკონომიკური ძალადობა (შავი ბიზნესის სახით), რასაც შედეგად მოსდევს ეკონომიკური პარაზიტიზმის აყვავება. ეკონომიკური სისტემის კრიზისმა სახელმწიფო მიუახლოვა იმ საზღვარს, რომლის იქით იწყება საზოგადოების დეგრადაცია.

რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ ქვეყანა კატასტროფისგან ვიხსნათ?

უნდა განისაზღვროს ეკონომიკის რეანიმაციის, სტაბილიზაციის, აღორძინების, აღმავლობის პირობები და ამ მიზნით გამოყენებული ბერკეტების მიზანშეწონილობა, ამასთან, გადაიჭრას ისეთი პრობლემები, როგორიცაა:

— საზოგადოებრივი წესრიგის აღდგენა და განმტკიცება;

— სწორი პოლიტიკური იდეოლოგიის ჩამოყალიბება;

— რეალური საკადრო პოლიტიკის განსაზღვრა-განხორციელება.

მხოლოდ ამის შემდეგ გახდება შესაძლებელი ეკონომიკის სტაბილიზაცია და რეფორმების დაწყება.

საბაზრო ეკონომიკა არ ნიშნავს მოსახლეობის გაჩანაგებას. აუცილებელია შემუშავდეს ეკონომიკის სტაბილიზაციის და ბიუჯეტის დაბალანსების რეალური პროგრამა, რომლის ამოსავალი პრინციპები იქნება წარმოების დაცემის გადალახვა და ეკონომიკის რეფორმირება, სამეცნიერო-ტექნიკური საწარმოო პოტენციალის შენარჩუნება, სოციალური დაძაბულობის მოხსნა და ცხოვრების დონის დაწევის შეჩერება. ამის მიღწევა მოითხოვს მეურნეობის პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრას, სტრუქტურული ცვლილებებისათვის ინვესტიციების მოზიდვას, შემოსავლების ახალი წყაროების გამონახვას.

კრიზისის შეჩერების და ეკონომიკის სტაბილიზაციის მიზნით აუცილებელია ფულად-საკრედიტო პოლიტიკის სფეროში მოხდეს ფულის ემისიის ტემპის შეჩერება, ბიუჯეტის უარყოფითი სალდოს შემცირება (შემოსავლების ახალი წყაროების საფუძველზე), საგადამხდელო ბალანსის დეფიციტის შეზღუდვა. დამუშავდეს პროგრესული დაბეგვრის საგადასახადო სისტემა, რასაც საფუძვლად უნდა დაედოს წარმოებასა და მოხმარებას შორის ინტერესთა ერთიანობა, გამოირიცხოს მომხმარებლებზე გადასახადების გადაკისრება ეგრეთ წოდებული „ფასების მაკრატლის" საშუალებით. ამასთან, საგადასახადო მექანიზმმა უნდა უზრუნველყოს წარმოების სტიმულირება, განსაკუთრებით მისი პრიორიტეტული მიმართულებები. მიზანშეწონილია შეიქმნას რესპუბლიკის საბანკო სარეზერვო სისტემა.

საფინანსო-საბიუჯეტო და საგადასახადო ბერკეტების გამოყენებით შეიქმნას ეკონომიკის დაქვეითების შეჩერებისა და სტაბილიზაციისათვის საჭირო პირობები. ამაში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ბიუჯეტის საკასო შესრულების ახალი წესი, რომლის ძირითადი პრინციპია ხარჯების დაფინანსება ფაქტობრივი შემოსავლების მიხედვით. ამასთან, აუცილებელია შეიცვალოს პირდაპირი ბიუჯეტური დაფინანსების პრინციპი ბიუჯეტური დაბანდების სხვადასხვა ფორმებით (სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების გარდა).

დადგინდეს საგადასახადო შეღავათები უცხოურ ინვესტიციებზე და მცირე ბიზნესზე.

შემოსავლების ბაზის უზრუნველყოფის მიზნით მოგების დამალვისა და გადასახადებისგან თავის არიდებისთვის უნდა დაწესდეს კრიმინალური პასუხისმგებლობა.

ქვეყნის ეკონომიკის სტრუქტურა არაეფექტურია, იგი ეკონომიკურად უზრუნველყოფილი არ არის. ეს იწვევს ბუნებრივი და სხვა რესურსების გადახარჯვებს, ვერ უზრუნველყოფს აუცილებელი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. აქედან გამომდინარე, ყურადღება უნდა გამახვილდეს პირველი რიგის სტრუქტურულ პრიორიტეტებზე, მომზადდეს მათი გადაწყვეტის ორგანიზაციული წანამძღვრები. ასეთთა შორის უმთავრესია სათბობ-ენერგეტიკულ რესურსებზე რესპუბლიკის მოთხოვნილების უზრუნველყოფა.

ამ მიზნით უნდა შეიქმნას ნავთობის გადამუშავებისა და მოპოვების ერთობლივი კომპანიები.

გაფართოვდეს სამუშაოები საკუთარი ნავთობის, გაზის მოძიებისა და მოპოვებისათვის. დაიწყოს ნავთობგადამმუშავებელი ქარხნების რეკონსტრუქცია, მცირე ჰესების აღდგენა.

დამუშავდეს სახელმწიფო პროგრამა თბოელექტროსადგურების მყარ სათბობზე გადასაყვანად.

საქართველოს ტერიტორიაზე სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ტრანზიტზე შემოღებულ იქნეს გადასახადები.

მოხდეს ფართო მოხმარების საგნების წარმოების სტიმულირება, საკვებმწარმოებელი ბაზის ჩამოყალიბება, კონვერსიის მომზადება და განხორციელება.

საექსპორტო საქონლის წარმოების სტიმულირება და ქვეყნის საშინაო ბაზრის დაცვა.

ეკონომიკაში სტრუქტურული ცვლილებების განხორციელების მიზნით შეიქმნას:

საქართველოს რესპუბლიკის საინვესტიციო კომპანია ღია ტიპის შერეული კაპიტალით.

ბიუჯეტური და არაბიუჯეტური ფონდები იურიდიულ და ფიზიკურ პირთა საპაიო შენატანების საფუძველზე.

საჭიროა ნორმატიული დოკუმენტები, რომლებიც უზრუნველყოფენ საკუთრებით ურთიერთობების სფეროში რეფორმის სრულ განხორციელებას.

უნდა მომზადდეს და თანდათანობით განხორციელდეს წარმოების სახელმწიფო სექტორის კორპორატიზაცია.

საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების რეგულირების მექანიზმის უქონლობამ გამოიწვია ექსპორტის ეფექტურობის კატასტროფული შემცირება, სახელმწიფო სავალუტო ფონდის ნგრევა, უყაირათობა.

აუცილებელია დაინერგოს სავალუტო კონტროლის და რეგულირების ერთიანი პრინციპები უცხოეთის სახელმწიფოებთან ყველა სახის სავაჭრო და არასავაჭრო ოპერაციებზე. უნდა შემცირდეს იმ საექსპორტო და საიმპორტო საქონლის სია, რომელიც ექვემდებარება ლიცენზირებას და კვოტირებას.

აგრარულ ურთიერთობათა სფეროში სოფლის მეურნეობასა და წარმოების სხვა დარგებს შორის უნდა შეიქმნას ექვივალენტური ეკონომიკური ურთიერთობების უზრუნველყოფის სისტემა.

სოფლად სამეწარმეო საქმიანობის განვითარებას ხელს შეუწყობს მიწის არარაციონალურ გამოყენებასა და მოსავლიანობის შემცირებაზე სანქციების დაწესება.

რამდენადაც მოწოდებასა და მოთხოვნას შორის თანაფარდობა გამოიხატება მოსახლეობის შემოსავლების ნაწილის მყიდველობითი ფონდებით, გადახდისუნარიანი მოთხოვნით და რეალური მიწოდებით, მოსახლეობის მყიდველობითი ფონდები დიფერენცირებულია. ასევე დიფერენცირებულია გადახდისუნარიანი მოთხოვნაც. ამ პირობებში ფასების სისტემატურ, დიფერენცირებულ შემოსავლებზე გამსწრები ზრდა ნიშნავს რეალური მოწოდების ფულადი ჯამის სისტემატურ შეფარდებით შემცირებას, რასაც მოსდევს საქონელმიმოქცევის მოცულობის შემცირება და ბიუჯეტური დეფიციტის ზრდა. დიდშემოსავლიანი მოსახლეობისათვის ყალიბდება ელიტარული ბაზარი, ხოლო დანარჩენი მასისათვის გადახდისუნარიანი მოთხოვნა იკვეცება, ბაზარი ქრება.

ამიტომ ბიუჯეტში შოკის თავიდან აცილების მიზნით საჭიროა რეალურ მოწოდებასა და გადახდისუნარიან მოთხოვნას შორის რეალური საშუალო თანაფარდობის დამყარება.

ამასთან, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ცალკეული შეხედულებები, პროგრამები რაოდენ სრულყოფილი, რაციონალური და კონსტრუქციულიც უნდა იყოს და უმწვავესი პრობლემების გადაჭრის რაოდენ დიდ შესაძლებლობებსაც შეიცავდნენ, აბსტრაქციად დარჩება, თუ ისინი საზოგადოებამ არ აღიარა და ხელისუფლებამ არ ცნო. ეს კი დამოკიდებული იქნება იმაზე თუ რა მიმართულების ძალები ბატონობენ და მართავენ საზოგადოებას.

გურამ უსტიაშვილი,
საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის წევრი, პროფესორი.

ჩემი პოზიცია

რა გზა გვაქვს გავლილი და საით მივდივართ?

(გაგრძელება)

რომელიც „უბრწყინვალესი საქრისტიანო სახელმწიფოს მოსპობის ამბავს უნდა მოეხდინა" (ქართველი ერის ისტორია, IV, 1967. გვ. 60-62).

ბიზანტიისათვის ეს ტრაგიკული ფაქტი საქართველოს და ქართველ ხალხს უშუალოდ არ ეხებოდა, მაგრამ ჩვენი დიდი მეცნიერის და ერის გულშემატკივარის ამ სტრიქონებში ღრმა მწუხარება გამოსჭვივის: მან კარგად იცის — რამდენად ტრაგიკული და დამანგრეველი აღმოჩნდა საქართველოსათვის ბიზანტიის ადგილზე ახალი სახელმწიფოს წარმოქმნა.

სულ ათი წელი იყო გასული კონსტანტინეპოლის დაცემიდან, ოსმალთა ჯარი რომ შემოვიდა საქართველოში, აიღო ბათუმი, გაბატონდა იმერეთსა, გურიასა და სამეგრელოზე; დაიპყრო საათაბაგო და საქართველოს ცოცხალი სხეულიდან ამპუტირებული აღმოჩნდა მისი სამხრეთ-დასავლეთი, რომელიც რამდენიმე საუკუნის განმავლობაში იმყოფებოდა მძიმე ბატონობის ქვეშ და გადაგვარების გზაზე იყო დამდგარი.

XVI ს-ის მეორე ნახევარში ოსმალეთი თითქმის მთელ ამიერკავკასიას დაეუფლა (საქართველოს ისტორიის ნარკვევები — IV, 1973, გვ. 139).

ამავე დროს საქართველოს ებრძოდა სპარსეთი. ერთი ძველი საისტორიო წყაროს ცნობით — „შააბაზ ყაენმან კახეთი და ქართლი აღაოხრა", ხოლო რას ნიშნავს კონკრეტულად ეს „აოხრება" და როგორი ფორმები მიიღო, ძალიან ზუსტად აქვთ წარმოდგენილი ქართველ ისტორიკოსებს და გარკვეული ერთმნიშვნელოვანი პასუხი არსებობს ჩვენს მეცნიერებასა და სპეციალურ ლიტერატურაში.

შაჰ-აბასმა ირან-ოსმალეთის ომის დამთავრების შემდეგ, 1612 წელს, „მოიხედა" ქართლ-კახეთის სამეფოებისაკენ და ერთი წლის შემდეგ დიდძალი ლაშქრით წამოვიდა საქართველოსაკენ. ამ ლაშქრობას კიდევ რამდენიმე შემოსევა მოჰყვა და ყოველი მათგანი ერთმანეთზე გამანადგურებელი იყო.

თეიმურაზ I-ზე გაბოროტებულმა, რომელიც არ დაემორჩილა მას და ირანში არ წავიდა, შაჰ-აბასმა შური მისი ოჯახის წევრებზე იძია. თეიმურაზის ვაჟები ლევანი და ალექსანდრე დაასაჭურისებინა, რომელთაგან ერთი მაშინვე გარდაიცვალა, მეორე — ჭკუიდან შეიშალა. დედა — ქეთევანი გახურებული შანთებით დადაღეს და წამებით მოჰკლეს. მოწამებრივი სიკვდილის გამო ქართულმა ეკლესიამ ქეთევან დედოფალი წმინდანად შერაცხა. სიკვდილით დასაჯეს ლუარსაბ II-ც.

შაჰ-აბასის პირველი შემოსევაც საკმარისი იყო, რომ ბოლო მოღებოდა კახეთის ადრინდელ კეთილდღეობას. ძნელია უფრო დიდი კონტრასტის წარმოდგენა, ვიდრე ის არის, რომელიც თეიმურაზ პირველის დასაწყისს ჰყოფს მისი ტრაგიკული დასასრულიდან. როცა XVII ს-ის ორმოციან წლებში რუსეთის მეფემ ელჩები გამოაგზავნა, მათ აქ ხვდებოდათ „ნასოფლარები, დაცარიელებული ქვის პალატები და ეკლესიები, რომელთაც ტყე და ბალახი მორეოდათ" (გ. ქიქოძე ერეკლე მეორე, 1947, გვ. 17.). კახეთის მეფის ქედმოუხრელმა ბრძოლამ შაჰ-აბასის წინააღმდეგ, გამოიწვია მოსახლეობის დაუნდობელი გაჟლეტა, მათი გადასახლება, მათი ვენახების და თუთის ხეების აჩეხვა და სხვ.

შაჰ-აბასის შემოსევებმა გამოიწვია ლეკების მოზღვავება მთებიდან და მათმა თარეშმა სისტემატური ხასიათი მიიღო.

3.

აიეტის სიტყვა და ყურადღება მიმართული იყო ჩვენი პოლიტიკური ცხოვრების მხოლოდ ერთ მხარეზე — მძიმე საგარეო ვითარებით გამოწვეული სიძნელეების დაძლევისაკენ. ეს პრობლემა დღევანდელი ცივილიზებული სამყაროს წინაშეც დგას, საერთაშორისო ორგანიზაციების მხედველობის არეშიც არის მოქცეული და რეალური პერსპექტივა ისახება მისი როგორმე და რამენაირი გადაწყვეტისათვის.

სხვაგვარი მოვლენაა შინაგანი სეპარატიზმი /წინააღმდეგობანი, განხეთქილებანი და ღალატი, რომელსაც არანაკლები უარყოფითი მნიშვნელობა ჰქონდა კაცობრიობის, და განსაკუთრებით ჩვენი ერის ისტორიაში.

ამ საზოგადოებრივი მოვლენის ერთ-ერთ სახეობაზე, რენეგატობაზე წერდა ივ. ჯავახიშვილი, როგორც **„ძმათა შორის მტრობაზე და ბრძოლაზე"**, როდესაც, მისი სიტყვით რომ ვთქვათ, **„ქართველთა უდანაშაულო და უმანკო სისხლი ილვრებოდა" და „უგუნური ბატონიშვილები და დიდებულები" კი საქართველოს დამოუკიდებლობისათვის გმირ და რაინდ შებრძოლთა გვერდში არ იდგნენ, და ვერაგობა, მტრის ბანაკში ყოფნა და მშობელი ქვეყნის ღალატი ურჩიათ"**. (ქართველი ერის ისტორია, IV, 1957, გვ. 266).

ერთი სიტყვით, ეს ის მოვლენაა, რომელიც უკვე დავით აღმაშენებლის ისტორიკოსმა შეამჩნია — „ორგულობა თვისთა უფალთა მიმართ" და, სამწუხაროდ, ქართველთა მოდგმის დამახასიათებელი თვისება უწოდა და ისევე გასდევს ჩვენს ისტორიას და ისეთივე მწვავე პრობლემას წარმოადგენს, როგორსაც გარეგანი მტრების შემოსევები, და, უფრო მეტიც — ხშირად თვით ეს შემოსევები უფრო მეტად ღალატით იყო გამოწვეული, ვიდრე მტრის აღმატებული ძალით და ჩვენი უძლურებით.

მკითხველს გავახსენებ XVI ს-ის რენეგატ დაუთხანს, რომელსაც ივანე ჯავახიშვილმა საგანგებო საჯარო ლექცია მიუძღვნა 30-იანი წლების მეორე ნახევარში.

მოგონებაში, რომელიც გამოვაქვეყნე 1976 წელს, ივ. ჯავახიშვილის დაბადებიდან 100 წლისთავთან დაკავშირებით, ამ ლექციაზე ვწერდი: „მასთან ურთიერთობის 5 წლის განმავლობაში ბატონი ივანე ასეთი მე არ მინახავს. მისი ლექცია ემოციებით იყო დატვირთული, მგზნებარე, აღგზნებული ისე ლაპარაკობდა, თითქოს თვალწინ ედგა მთელი საქართველოს ისტორიის მანძილზე „ძმათაშორისი მტრობითა და ბრძოლით" დაღუპული ყოველი ადამიანი, მსმენელებით გაჭედილი დარბაზი სულგანაბული უსმენდა მომხსენებელს".

4.

ალბათ არასოდეს არ ჰქონია საქართველოში სეპარატიზმს ისეთი „გასაქანი", არასოდეს ყოფილა იმ ზომად დანაწევრებული, როგორც XVIII ს-ში და ერეკლე II-ის დროს, რომელმაც ვერ დააღწია თავი ვერც დიდებულთა განდგომებს და ვერც შეთქმულებებს.

1727 წლის ახლო ხანებში ოსმალებმა ქართლი ნაწილად დაიპყრეს და ქართველ ფეოდალებს ჩააბარეს (საქართველოს ისტორიული ნარკ. IV, გვ. 436). ეს აქცია რა თქმა უნდა, ოსმალების ინტერესებიდან მომდინარეობდა, მაგრამ შეესაბამებოდა თავადების მისწრაფებებს, რომლებსაც თავისი ზრახვების განხორციელებისთვის არც ადამიანთა ხოცვაზე უთქვამთ უარი და არც ქვეყნისა და მეფის წინაშე ღალატს მორიდებიან.

ერთ-ერთ შეთქმულებას სათავეში ედგა პაატა ბატონიშვილი, რომელიც ტახტზე პრეტენზიას აცხადებდა, შეთქმულების მონაწილენი იყვნენ დიმიტრი ამილახვარი — შეთქმულების ყველაზე აქტიური წევრი და ერეკლე მეფის პირადი მტერი და სხვ. შეთქმულება გამომჟღავნდა, საგანგებოდ შედგენილმა ჯგუფმა (რომელთა შორის იყვნენ მეფის მიერ მოწვეულნი „გლეხნიცა") გაასამართლა; პაატა ბატონიშვილი და ელიზბარ თაქთაქიშვილი სიკვდილით დასაჯეს.

საყურადღებოა, რომ ასპინძის ბრძოლიდან რუსი ჯარის გამოყვანა და ერეკლეს მიტოვება მტრის პირისპირ, გენერალ ტოტლებენის ღალატადაა მიჩნეული, მაგრამ სულ სხვაგვარად ხსნიან ამ ფაქტს ერეკლეს თანამედროვენი—ომან ხერხეულიძე და დავით ბატონიშვილი. ამ ღალატს მეფე სოლომონს მიაწერენ: „არა სწადდა მეფესა სოლომონს განდიდება მეფისა ირაკლისა და მუდამ მზირ ეყვის მას, რათა ჰქნეს ნაკლოვანება რაიმე მეფესა" (გ. ქიქოძე, მით. ნაშრ; გვ. 146).

ცნობილია ისიც, რომ ერეკლე მზად იყო პრაქტიკული ნაბიჯები გადაედგა საქართველოს გაერთიანებისთვის, მაგრამ ის „მედგარ წინააღმდეგობას წააწყდა" სოლომონ პირველის სახით (იქვე გვ. 175).

ასეთივე სურათია დასავლეთ საქართველოშიც. თუ სოლომონ I „მედგარ წინააღმდეგობას" უწევდა ერეკლეს საქართველოს გაერთიანების ცდებში, ის ასეთივე წინააღმდეგობის წინაშე აღმოჩნდა იქაური ფეოდალებისგან, რომლებიც „მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი იმერეთის ციხეებში მდგარ თურქულ გარნიზონებთან" („საქ-ლოს ისტ. ნარკ.", IV. გვ. 637,).

1752 წელს, როდესაც იქ სოლომონი გამეფდა, ტახტის მოპოვებისათვის ისეთმა ვნებებმა გაიღვიძეს, რომ მის წინააღმდეგ ამხედრდნენ არა მხოლოდ იქაური ფეოდალები და ერისთავები, არამედ თვით მისი პაპა და დედაც კი.

ერისთავების და ხშირად „მეფეებად" წოდებული ფეოდალების ბრძოლები ყოველგვარ ზომებს სცილდება და მათ უკან დგანან არა მხოლოდ ადგილობრივი მოწინააღმდეგეები, ძალიან ხშირად — გარეშე მტრები და დამპყრობლები.

ამგვარ ატმოსფეროში და ვნებათა ღელვაში, შეუძლებელი იყო ერეკლეს ერთ-ერთი პროგრესული და საჭირბოროტო იდეა — საქართველოს გაერთიანება განხორციელებულიყო. მაგრამ ეს საკითხი კიდევ ერთხელ წამოიჭრა ამ „სასოწარკვეთილ მდგომარეობაშიც".

ამ პატრიოტულ მოძრაობას მხარს უჭერდა თავად-აზნაურობისა და სამღვდელოების შეგნებული ნაწილი, თანაუგრძნობდნენ ხალხის დაბალი ფენები და გლეხობა; ყველა, ვინც გრძნობდა, რომ ქვეყნის გაერთიანება ხელს შეუწყობდა ეკონომიური ჩამორჩენილობის დაძლევას, ვაჭრობა-ხელოსნობის განვითარებას.

გაერთიანების იდეას ენერგიულად უჭერდა მხარს სოლომონ ლეონიძე, რომელიც დასავლეთ საქართველოში წავიდა, რათა იქაური მეფე და ერისმთავრები დაერწმუნებინა, რომ გაერთიანების გარეშე იძულებულნი გახდებოდნენ უცხოელი მფარველები ეძებნათ.

ერეკლე მეორემ უდიდესი კვალი დატოვა ჩვენი ერის ისტორიაში და დიდი სახელი მოიპოვა ჩვენში და არა მხოლოდ ჩვენში.

ილია მას სთვლიდა „ზვირგვინოსან გმირად" და „დიდბუნებოვან" მეფედ და მისადმი ხალხის დიდი სიყვარულის დასადასტურებლად იხსენებდა ცნობილ ხალხურ ლექსს — „ვერ გაიგეთა ქართველნო, შეგეხსნათ რკინის კარია, აღარ გყავთ მეფე ირაკლი, ბაგრატიონთა გვარია".

გერონტი ქიქოძის სიტყვით, მისი არაჩვეულებრივი პოპულარობა აიხსნება არა მხოლოდ მისი „სტრატეგიული გენიით", არამედ იმით, რომ „ის აღჭურვილი იყო ზნეობრივი ვალდებულების შეგნებით, რომელიც დღესაც უნდა წასაბაძად ჩაითვალოს".

ერეკლეს შესახებ წერდნენ მისი დროის ჟურნალებში, დაწყებული „სანკ-პეტერბურგის უწყებებიდან" და დამთავრებული გერმანული ყოველთვიური ჟურნალებით. მისი სახელი „ხშირად იკითხებოდა ისტორიულ ნაწარმოებებსა და გეოგრაფიულ ცნობარებში, ისევე როგორც ვოლტერის მიმოწერაში".

ერთი ფრანგი ავტორის მიხედვით, ერეკლე „პირველი და ყველაზე ძლევამოსილი პიროვნება იყო სპარსეთსა და საქართველოში". პ. ბუტკოვი, ცნობილი რუსი მეცნიერი, აკადემიკოსი, წერდა, რომ „საუკეთესო ნიჭის მქონე" ერეკლემ საქვეყნოდ გაუთქვა სახელი თავის სახელმწიფოს. ლესინგს ერეკლე „აღმოსავლეთის დიდ გმირად" მიაჩნდა, ხოლო პრუსიის მეფეს, გამოჩენილ მხედართმთავარს ფრიდრიხ II-ეს (1712-1786) მიაწერენ სიტყვებს — „ევროპაში მე ვარ და აზიაში — საქართველოს მეფეო".

და მიუხედავად ამგვარი შესაშური შეფასებისა რუსეთსა და დასავლეთში, არ შეიძლება განცვიფრება და სამწუხარო გრძნობა არ დაგეუფლოს, რომ ერეკლე მეფე სიცოცხლეში მხოლოდ ხალხის ფართო წრეებში იყო აღიარებული. რაც შეეხება მის თანამედროვე საზოგადოების მაღალ წრეებს, მათ შორის ერეკლემ ვერ მოიპოვა სიყვარული, პატივისცემა და თანადგომა. პირიქით, მისმა უპირატესმა მდგომარეობამ და წარმატებებმა მხოლოდ შური აღძრა.

ერთი სიტყვით, აიეტის პრობლემა საქართველოში კიდევ ერთხელ, 12 საუკუნის შემდეგ წამოიჭრა და ამჯერად ის რუსეთის სახარგებლოდ გადაწყდა.

ასეთია ჩვენი წარსულისა და საზოგადოებრივ ურთიერთობათა თავისებურებანი. მაგრამ მიუხედავად ამდენი სიდუხჭირისა და, ხშირად მძიმე, თითქოს გამოუვალი მდგომარეობისა, არ შეიძლება **ქართველი კაცის გული სიამაყის გრძნობით არ აივსოს, რომ ჩვენს ქვეყანას და ერს ჰქონია პოლიტიკური, ეკონომიური აღმავლობის პერიოდები, რომ ქართველმა ერმა გაუძლო საუკუნეებს, გამოატარა თავისი მძიმე ცხოვრება და დღევანდლამდე მოიტანა თავისი განსაკუთრებული კულტურა, ხელოვნება და ლიტერატურა, თავისი ზნეობრივი ღირებულებანი და, რაც მთავარია, თავისი უტეხი ეროვნული ენერგია.**

5.

ეს წერილი სამეცნიერო გამოკვლევა არ არის. მისი მიზანია გაახსენოს თანამედროვე ქართველ მკითხველს ჩვენი წარსული, რომელიც მრავალ და მრავალმხრივ ასოციაციებს იწვევს ჩვენს დღევანდელ ცხოვრებასთან. ეს რამდენადმე მაინც გააადვილებს დღევანდელ რთულსა და მწვავე პოლიტიკურ ვითარებაში გარკვევას, შეძლებისდაგვარად, სინათლეს შეიტანს... „ქართული ხასიათის" შინაარსში, რაც იმდენად რთულ პრობლემას წარმოადგენს, რომ შეუძლებელს ხდის მის ყოველმხრივ გარკვევას.

მაგრამ ამ „ხასიათის" მრავალი, მეტნაკლებად ნიშანდობლივი გამოვლენა მხედველობიდან არ გამორჩენიათ ჩვენს ძველ ისტორიკოსებს, რომლებიც არ კმაყოფილდებოდნენ ფაქტების გადმოცემით და იძლეოდნენ მათ შეფასებასაც.

საბჭოთა მეცნიერება პარტიკულარიზმსა და სეპარატიზმს ფეოდალური საზოგადოებისთვის სპეციფიკურ მოვლენებად მიიჩნევდა და მისი ფსიქოლოგიური საფუძვლების გარკვევა, მასში ადამიანური თვისებების გამოვლენის დანახვა არ უცდია. მით უმეტეს, რომ ფეოდალიზმი დიდი ხანია „ჩაბარდა ისტორიას", მაგრამ ეს მანკიერებანი დღესაც მოქმედებს და დღესაც ეღობება წინ ჩვენი ქვეყნის მთლიანობას და ჩვენი ხალხის ერთიანობას.

პარტიკულარიზმის და სეპარატიზმის მთავარი მიზეზი ადამიანური საწყისია, მისი „ზეპარბი ინდივიდუალიზმი", „მეს" პრევალირებაა, აქედან იწყება შურიც, უფლებამოყვარებაც, სეპარატიზმიც, ერის გათიშვისკენ მისწრაფებაც, ორგულობაცა და ღალატიც — ეს ყველაზე უფრო მდაბალი ზნეობრივი მოვლენა ადამიანთა საზოგადოებაში.

სამწუხარო ისაა, რომ არანაკლები სიმწვავით გრძელდება ჩვენს პირობებში „ძმათაშორისი ბრძოლები" და „ქართველთა უდანაშაულო სისხლის ღვრა", რასაც დღეს თუ „უგუნური ბატონიშვილები და დიდებულები" არ უდგანან სათავეში, მათ არანაკლებ მანიით შეპყრობილები ხელმძღვანელობენ და „ვერაგობისა და მტრის ბანაკში" ყოფნას განაგრძობენ.

უფრო მეტიც. ამ შემაშფოთებელ ფაქტს სეპარატიზმის ახალი სახეობა ემატება — პარტიათა და პოლიტიკურ საზოგადოებათა სიმრავლე. ამან „იზვესტიის" ერთი კორესპონდენტის სამართლიანი განცვიფრება გამოიწვია და ქართული გამოთქმა გაახსენა — „ორი ქართველი სამი პარტიააო", ხოლო მეორეს მისცა საბაბი მათი რაოდენობა ჩვენში „ასტრონომიულ რიცხვთან" შეედარებინა. პარტიათა და პოლიტიკურ საზოგადოებათა სიმრავლე სეპარატიზმის ახალ, აქამდე არ და, ალბათ, არსად არსებულ მოვლენას წარმოადგენს.

შალვა ხიდაშელი.

(დასასრული იქნება)

MERCURY
საქართველოს უნივერსალური საავტომობილო ბირჟა
MERCURY
«მერკური»-ს
საინფორმაციო განყოფილება გთავაზობთ:
– მსუბუქი და სატვირთო ავტოტრანსპორტის ფართო არჩევანს
– საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონელს: ფერად ტელევიზორებს, სარეცხ მანქანებს, გაზქურებს, ელექტროღუმელებს, სატელეფონო სადგურებს, ნომრის ამომცნობ ტელეფონის აპარატებს, ფოტოაპარატებს, სანტექნიკურ მოწყობილობებს.
– სასურსათო პროდუქციას: თაფლს, ხილის ჯემებს, მურაბებს, ტომატ პასტებს, კონტრაქტის საფუძველზე მოგაწვდით ხორცის კონსერვებს.
უძრავი ქონების განყოფილება დაგეხმარებათ ბინების, აგარაკების ყიდვა-გაყიდვაში.
– გთავაზობთ ინდივიდუალური პროექტით მშენებარე ბინებს ქ.სანკტ-პეტერბურგში ანგარიშსწორება, როგორც გადარიცხვით, ასევე ნაღდი ანგარიშსწორებით.
გელით ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა 9-დან 18 საათამდე.
გვერწმუნეთ ჩვენი მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით.
ჩვენი მისამართია: ქ.თბილისი, მარჯანიშვილის მოედანი, დავით აღმაშენებლის გამზ. 89/24 „თბილქალაქპროექტის" შენობა V სართული.
ტელ.: 96-50-81, 95-22-83, 95-97-83.

ფირმა „ოპიკო"
opiko
1. აწარმოებს რუსეთის ფედერაციიდან საქართველოში თანხების გადმორიცხვას კოეფიციენტით 24,3
opiko
2. რუსეთში ანგარიშზე არსებული თანხების კონვერტაციას და განაღდებას.
opiko
კურსი ყოველდღე იცვლება
ჩვენი მისამართია:
ახვლედიანის 8
(ყოფილი პეროვსკაია)
ტელ: 98-80-80
opiko

ROITIKH CENTER
ART · DESIGN · TECHNOLOGY
ჩვენ ვუშვებთ ჩვენი ორიგინალური კონსტრუქციის კერამიკის მაღალტემპერატურულ ღუმელებს.
ჩვენ ვამზადებთ მხატვრულ კერამიკას.
ჩვენ გთავაზობთ დიზაინის დამუშავებას მხატვრულ კერამიკაში მისი წარმოებაში სრული დანერგვით.
ჩვენთან ექსპონირებულია მხატვარ-კერამისტების ნამუშევრები ჩვენს „კერამიკის გალერეაში"
ჩვენ ვუწყობთ ხელს საქართველოში კერამიკის განვითარებას.
გვეწვიეთ ჩვენს ოფისში ან მოგვმართეთ
თქვენთვის საინტერესო საკითხების შესახებ მისამართით: დ.აღმაშენებლის 99/1.
„კერამიკის გალერეა". ტელ: 96-37-93.

საქმიანი ინფორმაციის სააგენტო
"GEORGIAN MEDIA SYSTEMS LTD"
გთავაზობთ საინფორმაციო ბიულეტენს
„საქართველოს საქმიანი სამყარო"
ეს ოპერატიული, ანალიტიკური, მიმოხილვითი და საცნობარო ინფორმაციაა საქართველოს ეკონომიკაზე, ბიზნესსა და ფინანსებზე.
"GMS"-ის პროდუქცია განკუთვნილია საკუთრების ყველა ფორმის საწარმოთა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ხელმძღვანელების, ბიზნესმენების, ბანკირების, მეცნიერების, სპეციალისტებისა და პოლიტიკოსებისათვის, ყველა მათთვის, ვინც იღებს საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებებს და განსაზღვრავს საქართველოს მომავალს.
"GMS" იძლევა ინფორმაციის ოპერატიულობის, უტყუარობის, შეუფასებლობის და ობიექტურობის გარანტიას.
"GMS" თანამშრომლობისათვის იწვევს ყველა ჟურნალისტს, რომლებიც წერენ ბიზნესის თემებზე, და სპეციალისტებს, რომლებიც ფლობენ ეკონომიკურ, ფინანსურ და კომერციულ ინფორმაციას.
ჩვენი მისამართია: 380077, თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზირი 45,
X სართული (მეტრო დელისთან).
ტელეფონები: 37-79-61, 31-14-01, ფაქსი: 34-72-26.

ფირმა «არამხუტე»
ამზადებს:
1. მზესუმზირის ზეთის გამოსახდელ დანადგარს ჰიდრავლიკური წნეხით.
2. ცომის გამრევ და ზეთის გამოსახდელ დანადგარს
3. ჩაის ფაბრიკის სხვადასხვა ჯვანმებს და სხვ. სპეციალურ ნაწილებს.
66-69-13
66-16-37.
ჩარხმშენებელი (ყოფილი კიროვის) ქარხნის ტერიტორიაზე [illegible] № 1 III სართული.

საბაზრო ეკონომიკის პრინციპები აუცილებელს ხდის ქართულმა კინომ ეძებოს საკუთარი შემოსავლის წყაროები და არ იყოს მიჯაჭვული მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტს. ამისათვის საჭიროა რესპუბლიკის კინო-თეატრების ყველა კომერციული შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენება ქართული ფილმწარმოების უზრუნველსაყოფად.
კინოთეატრებმა უნდა შეინარჩუნონ ძირითადი პროფილი — კინოჩვენება და უნდა გამოიყენონ კომერციული მიზნებისათვის მხოლოდ თავისუფალი ფართი ან კინოჩვენებისაგან თავისუფალი დრო.
ქ.თბილისის მერიასა და სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსთან შეთანხმებით კინოკონცერნ „ქართულ ფილმში" მუშავდება სააქციო საზოგადოებად გარდაქმნის პროგრამა. შესაძლებელია აგრეთვე საკუთრების სხვა ფორმების გამოყენება, კინოთეატრების ფართის ან მათი ნაწილის იჯარით გაცემა.
დაინტერესებულ პირებს ან ფირმებს, რომლებსაც სურთ კინო-თეატრების ფართის ან ფართის ნაწილის იჯარით აღება, გთხოვთ დაუკავშირდნენ კინოკონცერნ „ქართულ ფილმში" შექმნილ ქონების გამოყენების და აქციონირების მაკოორდინირებელი კომიის თავმჯდომარეს, ბატონ თემურ ფალავანდიშვილს.
კომისიის მისამართია: დ. აღმაშენებლის გამზირი 154, მე—9 სართული.
ტელეფონი: 95-98-02, 95-25-67.
კინოკონცერნ „ქართული ფილმის" ქონების აღრიცხვიანობის, გამოყენების და აქციონირების მაკოორდინირებელი კომისია

განცხადება
შევისყიდით 25 სმ და მეტი სიგრძის ადამიანის თმას.
მისამართი: ქ. თბილისი,
ცენტრალური რკინიგზის სადგური, II სართული,
„თმის შემსყიდველი პუნქტი".
ვმუშაობთ ყოველდღე 12.00 — 17.00 დასვენება კვირას.

თუ გსურთ თქვენი ფირმებისა და ოფისებისათვის, აგრეთვე თქვენთვის და თქვენი ოჯახის წევრებისათვის გყავდეთ საიმედო მცველები, მიმართეთ საზოგადოება
«მოზარდს».
შ.ს. სამინისტროსთან არსებული საზოგადოება „მოზარდის"
„იურიდიული და ფიზიკური პირების დამცველთა მომზადების სკოლა"
აცხადებს მიღებას 1993-94 სასწავლო წლისათვის.
სკოლაში გასაუბრების საფუძველზე ჩაირიცხებიან სათანადო ფიზიკური მონაცემების მქონე პირები 18—დან 35 წლამდე. სწავლა ფასიანია. სწავლის ხანგრძლივობა არის 7 თვე.
შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომლები ჩაირიცხებიან უკონკურსოდ.
განცხადებას თან უნდა დაერთოს:
— კადრების აღრიცხვის ფურცელი;
— 6 ფოტოსურათი 7X10
— ცნობა ჯანმრთელობის შესახებ ფორმა 086;
— დახასიათება პოლიციის განყოფილებიდან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.
საბუთები მიიღება ყოველდღე 10 სთ—დან 13 სთ-მდე
მისამართი: ქ. თბილისი, ტოვსტონოგოვის ქ. № 2 (ყოფილი 25 თებერვლის ქუჩა) ქ.თბილისის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის შენობაში „კათარზისის" გვერდით), ტელეფონი: 95-04-15

ინფორმაცია

საქინფორმის ლენტიდან

კომისია მუშაობს

8 ნოემბერს საქართველოს რესპუბლიკის ვიცე-პრემიერის თამაზ ნადარეიშვილის სამუშაო კაბინეტში გაიმართა აფხაზეთში ქართველი მოსახლეობის გენოციდისა და ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ქართველთა ეთნიკური წმენდის ფაქტების შემსწავლელი კომისიის გაფართოებული სხდომა. სხდომის გახსნისას თამაზ ნადარეიშვილმა აღნიშნა, რომ უნდა გაგრძელდეს დოკუმენტაციის, ფოტო- და ვიდეომასალების შეგროვება, რომლებიც მოწმობენ აფხაზი და ჩრდილოკავკასიელი ბოევიკების მიერ ჩადენილ მხეცობას. საქართველოსა და საერთაშორისო კანონმდებლობის თანახმად, აფხაზი სეპარატისტები — პოლიტიკური გენოციდის ინიციატორები და აღმსრულებლები — უნდა გადაეცნენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

შემდეგ სხდომაზე გამოვიდა ზემოაღნიშნული კომისიის თავმჯდომარე ლევან ალექსიძე, რომელმაც განაცხადა, რომ ამ საკითხში საქართველოს მხარეს აქვს ყველა შესაძლებლობა უჩვენოს მთელ მსოფლიოს აფხაზური სეპარატისტების ლიდერთა დანაშაულებრივი პოლიტიკა, როგორც ომამდე, ისე აფხაზეთში საომარი მოქმედების მიმდინარეობის პერიოდში. მან აღნიშნა, რომ საჭიროა სისტემაში მოვიყვანოთ არსებული მასალები და გადავცეთ ისინი საერთაშორისო ორგანიზაციებს, გამოვაქვეყნოთ საზღვარგარეთ.

სხდომაზე გამოვიდნენ საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის მოადგილე ანზორ ბალუაშვილი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორი ანზორ ლაცუზბაია, საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი თედო ნინიძე, საქართველოს საინფორმაციო-საგამომცემლო კორპორაციის გენერალური დირექტორი ვახტანგ აბაშიძე, საქართველოს პარლამენტის წევრი გიგა ლორთქიფანიძე და სხვები.

თენგიზ პაჭკორია.

„სარგებლიანი კონტაქტები

სასოფლო-სამეურნეო წარმოების მართვის საკითხების შემსწავლელი საქართველოს აგრარიკოსთა ჯგუფი, რომელიც ემზადება გაემგზავროს ისრაელში მორიგ ერთთვიან სტაჟირებაზე. ეს ხათვალავით სპეციალისტთა უკვე მეოთხე ჯგუფია, რომელიც ისრაელში იგზავნება სასოფლო-სამეურნეო წარმოების დარგში საქართველოსა და სხვა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისთვის დახმარების ფარგლებში.

ისრაელში უკვე იყვნენ საქართველოს მეცხოველეები, მემინდვრეები. მეხილეები, მელიორატორები. სხვა სპეციალობათა მუშაკები. ამ სტაჟირების შედეგების მიხედვით მზადდება სატელევიზიო პროგრამა „ისრაელის მიწა და ადამიანები“.

„იბერიის“ ლენტიდან

თბილისი. როგორც სახელმწიფო მთავარი რეგიონების მართვის სამსახურიდან გვაცნობებს, ამ დღეებში გორის გამგებელმა ზურაბ წკრიალაშვილმა სენაკში ლტოლვილებისთვის ჩაიტანა 2 ტონა პურის ფქვილი, 2 ტონა გამომცხვარი პური, ხორცი, ხახვი, კარტოფილი, კომბოსტო და სხვა სახის პროდუქტები.

ტყიბული. „წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის“ ფედერაციის ეგიდით ქ. ტყიბულში ჩაიტანეს ჰუმანური დახმარების ტვირთი, რომელიც გათვალისწინებულია მარტოხელა და შრომისუუნარო ადამიანებისათვის.

ტყიბულში შემოვიდა აგრეთვე „წითელი ჯვრის“ ფირმა „აქს ჭორჭიას“ მიერ გამოგზავნილი ჰუმანური დახმარება ადგილობრივი და ლტოლვილი ბავშვებისთვის. დახმარება მიიღო 1 400-მა ბავშვმა.

ჭიათურა. რაიონში სტაბილური მდგომარეობა. დიდი შეფერხებებია პურით მომარაგების საკითხში. მესამე კვირაა, რაც მოსახლეობას არ მიეწოდება ნორმირებული გამომცხვარი პური და პურის ფქვილი, ამის გამო ჭიათურის რაიონის გამგეობაში ხშირად მიდიან აღშფოთებული მოქალაქენი და ითხოვენ ამ პრობლემის დაუყოვნებლივ გადაწყვეტას.

რით ვიკვებოთ?

ვისაც წყალწაღებულნი ვჭირდებით

ვერმიშელის ჭამის დროს გაჭირვეულებული ბავშვი ვის არ მოურჯულებია აკაკის ცნობილი ექსპრომტით: „თუ არ ჭამე ვერმიშელი, გაგლახავენ — ვერ გიშველი“.

ეს იყო შორეულ წარსულში, ვიდრე ზეთის ზღვა დაგვიშრებოდა და ვერმიშელის პლაჟები „ჩაგვიფლავდებოდა“.

ახლა ალბათ ძნელად თუ მოიძებნება მშობელი, კვების ამ პროდუქტის სარეალიზაციოდ ძველებურ მეთოდს რომ იყენებდეს.

თუ გუშინ ლუარსაბ თათქარიძის ცნობისწადილი „ამაღამა ვახშმადა რა გვაქვს?“ — ჩვენი სარკაზმის ობიექტად იყო ქცეული, დღეს „გამარჯობის“ ნაცვლად ერთმანეთს არანაკლები ცნობისმოყვარეობით ვაგებებთ კითხვას — „რას ჭამთ?!“

მართლაცდა რას მივირთმევთ?

— ბოროტი ენები ამბობენ: საფურაჟე ხორბლის პურსო, მართლა ასეა? — ვეკითხებით პურპროდუქტების სახელმწიფო კორპორაციის ეკონომიკური სამმართველოს უფროსს ჯემალ კვირიკაშვილს.

ასეა, მაგრამ ჯანმრთელობისთვის საზიანო არ ყოფილა, ამიტომაც რესპონდენტი საუბარს დარგის მუშაკთა პრობლემებით იწყებს.

— პური ისეთი იაფი როდია, რა ფასადაც რიგებში დგომით გაწამებულ ხალხს მიეწოდება. ყოველდღიურად დედაქალაქში 600 ტონამდე პური ცხვება, მაგრამ რიგები მაინც არ კლებულობს, ეს კი გამომცხვარი პურის დაბალი ფასებით და მისი არადანიშნულებისამებრ გამოყენებით არის გამოწვეული. ამავე მიზეზით ყველა პურის ქარხანა პრაქტიკულად წამგებიანი და არაგადამხდელუნარიანია, ვერ იძენს საჭირო მარაგნაწილებსა და მასალებს.

კორპორაციის პრეზიდენტს ომარ კაციტაძეს პურის ფასების სტაბილიზაცია რიგების ლიკვიდაციის ერთ-ერთ გზად მიაჩნია, იგი კმაყოფილებით აღნიშნავს კომენდანტის საათის შემოღების შემდეგ პურის ქარხნებზე (ერთი-ორი გამონაკლისის გარდა) შეიარაღებული თავდასხმების აღკვეთის ფაქტს და გულისტკივილით დასძენს: პურის მრეწველებს არასოდეს უღალატიათ ერისათვის, რაც უმძიმეს პირობებში მუხლჩაუხრელი შრომით დაადასტურეს. ექსპრეზიდენტის თანადგომის ბრალდებით „თბილპურის“ გენერალური დირექტორის ომარ კაპარავას დაპატიმრების შემდეგ კი რატომღაც საზოგადოებაში შეიქმნა აზრი თითქოს პურის მრეწველობის სისტემაში ყველა მისი მიმდევარია. ეს არ არის სწორი, დარგის მუშაკებს არ ავიწყდებათ, რომ „პური მეპურემ უნდა გამოაცხოს“, და პოლიტიკაში არ ერევიან.

ამას ადასტურებს თბილისის მაკარონის ფაბრიკის დირექტორი გიორგი სიხარულიძეც და ასეთ წინადადებებს გვთავაზობს — ვინც საქართველოში თუნდაც 100 ცარიელ ტომარას იშოვის, ის ჩაჯდეს ჩემს სავარძელში და თანამეგობრობაში შესვლაზე უარი, მერე განაცხადოსო.

მაკარონის ნაწარმი — პურის „დუბლიორია“ და მისი ხარჯვა რომ სხვა პროდუქტების გაქრობამ საგრძნობლად გაზარდა, საოჯახო გამოცდილებამაც კარგად გვიჩვენა.

თბილისის მაკარონის ფაბრიკის შესასვლელთან ლტოლვილები, მრავალშვილიანი დედები, ნაკლებადუზრუნველყოფილ ოჯახთა წევრები დგანან, მარტო ცხრა თვეში საწარმომ ამ კატეგორიის პირებზე უსასყიდლოდ 37 მილიონი კუპონის პროდუქცია გასცა. 12 მილიონი თავდაცვის ფონდში გადარიცხა, რესპუბლიკური საავადმყოფოს ორ პალატაში მოთავსებულ დაჭრილებს შეფობს და სხვა საქველმოქმედო საქმიანობას ეწევა.

საიდან? — მოგებიდან, მოგებას რა იძლევა? — შექმნილი პროდუქცია, რომელიც მიწიდან ბალახივით არ ამოდის. ნედლეულსა და მასალას ვინ გვაწვდის? — მეზობლები.

მოგეცათ ლხენა, საზღვარგარეთთან ურთიერთობის ფასი გიორგი სიხარულიძემაც კარგად იცის, მაგრამ რომელ ქვეყანას სჭირდება სამათხოვროდ ხელგაწვდილი მეგობარი?

ამიტომ ვისაც ასეთი წყალწაღებულები ვჭირდებით, ხელი მას უნდა ჩავჭიდოთ, — ასე ფიქრობენ მხოლოდ საქმეში ჩახედულნი და წინდახედულნი.

ლეილა კოშკაძე.

წვიმები, ნისლი, თოვლი მთებში

ამ კვირის პირველ დღეებში საქართველოს მთელ ტერიტორიაზე დაწყებული წვიმები კვირის დამლევამდე გასტანს. ამინდის ასეთი არასაიმედო პროგნოზი შეადგინეს ამ ვადისათვის რესპუბლიკის სინოპტიკოსებმა. ხოლო კვირის ბოლო დღეებსა და დასავლეთ საქართველოს ცალკეულ რაიონებში ცა რამდენადმე მოიწმინდება. მაგრამ აქ დაუბერავს აღმოსავლეთის ქარი, რომლის სიძლიერე ზოგან 9-14 მეტრს მიაღწევს წამში.

აღმოსავლეთ საქართველოს ბარში დღისითაც გაცილებით უფრო ეგრილება. ჰაერი არ გათბება 7-12 გრადუსზე მეტად. ღამღამობით კი თერმომეტრის სვეტი ცალკეულ დღეებში პლუს 3 გრადუს ტემპერატურამდე დაეცემა.

მაღლა მთებში უკვე პირველი დღე როდია, რაც თოვს. აქ კვლავაც ასეთი ამინდი იქნება. დღისით დაახლოებით 6 გრადუსი სითბო იქნება, ღამით კი ცალკეულ დღეებში შეიძლება ორ გრადუსამდე ყინვაც კი იყოს.

კოტე ცხომელიძე.

გვაცნობებენ „საქართველოს რესპუბლიკისა“ და საქინფორმის კორესპონდენტები

ამ დღეებში

მოვლენა • ფაქტი • კომენტარი

დღეს თუ გამოიწერთ, ხვალ მოგებული იქნებით!



მხატვარი ვახტანგ კუცია.

ყველაზე მეტად სწორედ ახლა, ამ არეულ დროს სჭირდება ჩვენი გაზეთი თითოეულ თქვენგანს, თქვენს ოჯახებს, ძვირფასო მეგობრებო!

თუ გსურთ ოპერატიულად შეიტყოთ ახალი ამბები, გაერკვეთ საშინაო თუ საგარეო პოლიტიკურ პროცესებში, ეკონომიკაში, თვალი გაადევნოთ მსოფლიოში მიმდინარე უმნიშვნელოვანეს მოვლენებს, იჩქარეთ, გამოიწერეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, ვიდრე მისი ერთი ნომრის ფასი ყველაზე იაფია, თორემ, რა ვიცით, ჩვენი კუპონის შემხედვარე ხვალ-ზეგ რა გუნებაზე დავდგებით.

მაშ, ნუ დაელოდებით გამოწერის უკანასკნელ ვადას — 25 ნოემბერს, ახლავე მოისტუმრეთ ეს საქმე, ხვალ მოგებული იქნებით!

„საქართველოს რესპუბლიკის“ გამოწერა შეუფერხებლად შეიძლება „საქპრესის“ ნებისმიერ განყოფილებაში, ჩვენი ინდექსია 66434.

გამოთხოვება...

9 ნოემბერს თბილისში დაკრძალეს საქართველოს ტელევიზიის მეორე არხის რეჟისორი და ამერიკის „დაბლ-იუ-ტი-ენის“ ტელესააგენტოს ვიდეოოპერატორი 24 წლის დავით ბოლქვაძე, რომელიც პრეზიდენტყოფილის მომხრეებმა დახვრიტეს ხობში.

...ხალხმრავლობა იყო სიონის საკათედრო ტაძარში. ნათესავები, ახლობლები, ნაცნობ-მეგობრები, ქართველი ჟურნალისტები და პარლამენტარები, მოსკოველი და ლონდონელი კოლეგები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები ეთხოვებოდნენ ახალგაზრდა ნიჭიერ ჟურნალისტს, რომელიც გახდა სამოქალაქო ომის მსხვერპლი.

სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ წესი აუგო განსვენებულს. თავის სიტყვაში მან თქვა, რომ დავით ბოლქვაძის სახელი ამიერიდან გახდება სამოქალაქო ვაჟკაცობის, გაბედულების, პროფესიული მოვალეობისადმი ერთგულების სიმბოლო. ილია მეორემ აღნიშნა, რომ დღეს ჩვენ უნდა დავიტიროთ არა დავით ბოლქვაძე, არამედ ისინი, ვინც ასე მხეცურად მოკლა ჟურნალისტი: მკვლელებმა ხომ დაკარგეს ადამიანის სახე, და მათი ნამოქმედარის გამართლება შეუძლებელია რაიმე პოლიტიკური ან სხვა მოტივით. ისინი ხომ ტყვიას უშენდნენ უდანაშაულო ადამიანს, რომელიც ყოველთვის ობიექტურად აშუქებდა მიმდინარე მოვლენებს. დავით ბოლქვაძის დაკრძალვას ესწრებოდნენ ამერიკის „დაბლ-იუ-ტი-ენის“ ტელესააგენტოს ხელმძღვანელობის წარმომადგენლები. მათ განაცხადეს, რომ აპირებენ საერთაშორისო ჟურნალისტების ორგანიზაციების წინაშე დააყენონ საკითხი დავით ბოლქვაძის მკვლელობას მისცენ კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის კვალიფიკაცია.

სპორტი

კრივი

ევანდერ ჰოლიფილდმა (აშშ) დაიბრუნა პროფესიონალ მძიმეწონოსან მოკრივეთა შორის მსოფლიო ჩემპიონის ტიტული. მან მატჩ-რევანშში სძლია თანამემამულე რიდიკ ბოუის.

რაგბი

სამოყვარულო რაგბის საერთაშორისო ფედერაციის (ფირა) ჩემპიონატის C1 ჯგუფის სასტარტო შეხვედრა საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა გუნდმა სტუმრად გამართა ლუქსემბურგელებთან. თამაში ფრედ დასრულდა—10:10.

ამავე ჯგუფში ჩვენი მორაგბეები ისპარეზებენ შვეიცარიასთან (სტუმრად) და ლატვიასთან (შინ).

მხოლოდ „მეთვალყურე“, „შვეულმფრენი“, „ნავსადგური“...

საყოველთაოდ ცნობილია, რომ საზღვარგარეთის ქვეყნების, კერძოდ, საფრანგეთის ჟურნალ-გაზეთებსა და რადიო-ტელემაუწყებლობაში სასტიკად არის აკრძალული უცხოენოვანი სიტყვების ხმარება პროდუქციის დასახელების გარდა. რატომღაც ჩვენს რესპუბლიკაში ამას არავინ იზიარებს, სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას არ ანიჭებს, ხმარობენ ხელოვნურად შეთითხნილ გაუგებარ, უშინაარსო სიტყვებსა და ტერმინებს, რუსულის კალკებს, რომლებიც არ შეესაბამებიან ქართული სტილისტიკისა და მართლწერის კანონებსა და ნორმებს.

ბოლო წლებში ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების ტერიტორიაზე ბევრგან ეთნოკონფლიქტებისა თუ სხვა ნიადაგზე „ცხელი წერტილების“ გაჩენასთან დაკავშირებით ადგილებზე ვითარების გასარკვევად, პრობლემების შესასწავლად და ჭეშმარიტების დასადგენად საზღვარგარეთის პოლიტიკური, ეკონომიკური, ეკოლოგიური და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები გზავნიან თავიანთ წარმომადგენლებს, რომლებსაც ზოგი დამკვირვებელს უწოდებს, სხვა მეთვალყურესა და ა. შ. ასეთი აღრევა შეუწყნარებელია.

საქმე ის არის, რომ ჩვენში რუსეთის საინფორმაციო საშუალებების მეშვეობით შემოვიდა რუსული სიტყვა-ტერმინი „Наблюдатель“. მავანმა მთარგმნელმა რუსულ-ქართული ლექსიკონის დახმარებით დაუკვირვებლად, დაუფიქრებლად, გაუაზრებლად თარგმნა, უკეთ — რუსულ-ქართულ ლექსიკონში შეცდომით შეარჩია მისი ქართული შესატყვისი და პრესამ - თუ ტელევიზიამ გაუკონტროლებლად მიიღო და დანერგა უმართებულო სიტყვა, სწორი კი უკუაგდო. ამ რუსულ სიტყვა-ტერმინს ქართულად ოთხი სხვადასხვა შესატყვისი აქვს, რომლებიც სინონიმები არ არის: დამკვირვებელი; მეთვალყურე; მზირი; მოთვალთვალე. როგორც ჩანს, თითოეულ მათგანში გარკვეული კონკრეტული შინაარსია ჩადებული და საჭიროების შემთხვევაში ამის მიხედვით უნდა ვიხმაროთ.

მივმართოთ ქართული ენის განმარტებით ლექსიკონს:

დამკვირვებელი (დამკვირვებლისა) ვინც დაკვირვებას აწარმოებს რამეზე (აკად. ევგენი ხარაძე ერთ საგაზეთო სტატიაში წერს: „...ცელოსტატური დანადგარის მიზანი კი იყო და არის კოსმოსური სხეულების ფიზიკური და სხვა პარამეტრების სიდიდეების დაკვირვება და განსაზღვრა, თანამედროვე ასტროფიზიკის ფუნდამენტური პრობლემების შესასწავლად...“).

როგორც ვნახეთ, ტერმინი დამკვირვებელი უნდა ვიხმაროთ ქიმიის, ფიზიკის, ბოტანიკისა და ა. შ. ლაბორატორიებში ცდების დამყენებელი პირის აღსანიშნავად.

ახლა ვნახოთ რა შინაარსია ჩადებული დანარჩენ სამ ტერმინში:

მეთვალყურე (მეთვალყურისა) ვინც თვალყურს ადევნებს ვისმე, რამე;

მზირი (ძვ.) მზვერავი, მოთვალთვალე, ჯაშუში;

მოთვალთვალე (მოთვალთვალისა) სამხედრო პირი, რომელსაც ევალება მტრის განლაგების თვალთვალი.

აქედან ცხადად ჩანს, რომ ამა თუ იმ „ცხელ წერტილში“ ან არჩევნების დროს ვითარების შემსწავლელ, ჭეშმარიტების დამდგენ რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელს თუ ჯგუფს უნდა ვუწოდოთ „მეთვალყურე“, „მეთვალყურენი“ და ასევე ერთსახად ვიხმაროთ ინფორმაციის საშუალებებში, ოფიციალურ დოკუმენტებსა თუ ორატორთა ზეპირ გამოსვლებში.

თავის დროზე რუსულიდან ასევე შეცდომით, შეუსაბამოდ თარგმნეს სიტყვა-ტერმინი „Вертолет“ და „ვერტმფრენი“ უწოდეს. ქართული ენციკლოპედიის სპეციალურ სამეცნიერო რედაქციაში მუშაობისას სამხედრო საქმის ლექსიკონის შედგენის დროს „სიტყვანში“ შევიტანე „შვეულმფრენი“, რომელიც ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონშიც არის, სამხედროებმაც მოიწონეს და ენის სპეციალისტებმაც — ცნობილმა ენათმეცნიერებმა ივანე გიგინეიშვილმა, მიხეილ ქაბაშვილმა, ჩინებულმა სტილისტმა მიხეილ მამულაშვილმა — დაადასტურეს და ასევე შევიდა ენციკლოპედიაში, რომელიც „ვერტმფრენს“ საერთოდ არ სცნობს. ბუნებრივია, რა საჭიროა უცხოურიდან შემოტანილი მცდარი ტერმინი, როცა გვაქვს შესანიშნავი მშვენიერი ქართული ბუნების „შვეულმფრენი?“.

დღეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და ტელევიზია ხელაღებით ხმარობენ სიტყვა-ტერმინს „პორტი“, რაც მიუღებელია. რუსულ-ქართულ ლექსიკონში სიტყვასიტყვით წერია: „Порт“ ნავსადგური, პორტი; Морской п. — საზღვაო ნავსადგური; речной п. — სამდინარო ნავსადგური; войти в порт — ნავსადგურში შესვლა. ამას წინათ ტელეეკრანზე ვნახე რეპორტაჟი ფოთის ნავსადგურიდან. ტელეჟურნალისტი ყველა შეკითხვაში იმეორებდა — პორტი, პორტში, პორტს... მისი მსხვერპლი, ნავსადგურის უფროსი კი ტაქტიანად, მოთმინებით, მაგრამ მტკიცედ და დაჟინებით ამბობდა — ნავსადგური, ნავსადგურს, ნავსადგურში... მაგრამ კორესპონდენტს ვერ შეასმინა, არადა მეზღვაური სწორი იყო. ჟურნალისტი — ცდებოდა.

რუსები ამბობენ — На себя взял обязательства... ჩვენი მთარგმნელები კი ასე აქართულებენ (აკალკებენ): „თავის თავზე აიღო...“ რატომ? ქართველები ხომ ოდითგან ვწერდით — მავანმა ეს საქმე იკისრაო?! ასე ხომ უფრო ქართულად, ბუნებრივად ჟღერს და სათქმელის შინაარსსაც სხარტად, მოქნილად, ყოვლისმომცველად გამოხატავს? „...ივანე ჯავახიშვილმა იკისრა (და არა თავის თავზე აიღო!) ყველაზე დიდი ტვირთი — გუთნისდედობა თვით ქართული მძიმე ორმადმხნელი გუთნისა...“ წერდა 1918 წლის 23 იანვარს გაზეთში „საქართველო“ ცნობილი ისტორიკოსი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე ინდილო მოსე ჯანაშვილი.

ქართული ტრადიციისამებრ, რუსეთის იმპერატორის ძმებს, ბიძებს, ბიძაშვილებს — „Великий князь“-ებს უწოდებდნენ და ასევე წერდნენ — „დიდი მთავარი“. ბოლო დროს ქართულში უსამართლოდ დამკვიდრდა „დიდი თავადი“ (სამწუხაროდ, ასევე შეცდომით იხმარა თავის საუკუნის რომანში „დათა თუთაშხია“ ქართული ლიტერატურის ცოცხალმა კლასიკოსმა ბატონმა ჭაბუა ამირეჯიბმაც).

რა ენა წახდეს...

დღეს ბევრი ქართველი ინტელიგენტი ახალგაცნობილ ადამიანს ამაყად გაუწვდის ხოლმე მისი პიროვნების დამადასტურებელ ორ-სამენოვან, ხშირად ფოტოსურათით დამშვენებულ ბარათს, რომელსაც რუსები „Визитная карточка“-ს უწოდებენ. ესეც ქართული ენის ზოგიერთმა „მოამაგემ“ „სავიზიტო ბარათად“ მონათლა. ჩვენი ინტელიგენტი, არისტოკრატი წინაპრები კი მას „სადარბაზო ბარათს“ უწოდებდნენ. რატომ? რუსულ-ქართულ ლექსიკონში წერია: Визит м. — ვიზიტი, დარბაზობა, Визитный — სავიზიტო. სადარბაზო. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი ასე ხსნის: „ბარათი... სადარბაზო (და არა „სავიზიტო“). რევოლუციამდელი. საგანგებო ზომისა და ნაკეთობის ქაღალდის (ან მუყაოს) ნაჭერი, რომელზედაც აღნიშნული იყო ვისიმე ვინაობა; იყენებდნენ გაცნობისას, დარბაზობისას, მილოცვისას“. როცა რომელიმე ქვეყნის ხელმძღვანელი სხვა ქვეყანაში მიემგზავრება, უნდა ვწეროთ — „ვიზიტად ჩავიდა“, მაგრამ მისი პიროვნების დამადასტურებელ „მუყაოს ნაჭერს“ უნდა ვუწოდოთ „სადარბაზო ბარათი“ იმის მიუხედავად, რომ ის რევოლუციამდელია, და არავითარ შემთხვევაში — „სავიზიტო ბარათი“.

ცხოვრებამ მოითხოვა და გახშირდა რუსული ფრაზის „Особое положение“-ს ხმარება, რასაც დღეს უწოდებს „საგანგებო მდგომარეობა“. რაც რუსულის უხეირო კალკია (საგანგებო ვითარება შედარებით უკეთესია). ქართულში ოდითგან დაკანონებული იყო „საგანგებო წესები“, ასევე ამბობდნენ და წერდნენ. ცნობილ დოკუმენტს რესპუბლიკის ხელმძღვანელმა სწორად უწოდა „საგანგებო წესები“. სამწუხაროდ, ქართული პრესა, რადიო-ტელევიზია მხოლოდ ამ დოკუმენტს უწოდებს ასე. დანარჩენ შემთხვევებში კი ჟინიანად იმეორებენ— საგანგებო მდგომარეობა.

დღეს ქართველები უცხოურიდან შემოსულ-ნათარგმნ ბევრ სიტყვას შეუფასებლად, დაუკვირვებლად ვხმარობთ ხოლმე, არ ჩავეძიებით მის შინაარსს, წარმომავლობას. ასეთი გულისამრევი სიტყვაა „თავყრილობა“, რომელიც მყარად დამკვიდრდა ჩვენს მეტყველებასა და მწერლობაში. გაზეთებში ხშირად წავიკითხავთ: „ქართველმა მწერლებმა (ხელოვნების მუშაკებმა, მეცნიერებმა, ექიმებმა, ინჟინრებმა, პედაგოგებმა...) თავიანთ გუშინდელ თავყრილობაზე გადაწყვიტეს...“

რას ნიშნავს „თავყრილობა“, რომელსაც ჩვენი წინაპრები მხოლოდ შავრაზმელთა, ქურდების ან საზოგადოების სხვა ნაძირალათა, მოგვიანებით ფაშისტების შეკრების აღსანიშნავად იყენებდნენ? საიდან გაჩნდა იგი ჩვენს დღევანდელ ლექსიკაში? ისევ საცნობარო ლიტერატურას მივადექით. რუსულ-ქართულ ლექსიკონში მივაგენი ამოხსნას: Собрание 1. კრება; 2. შეკრებილობა; 3. კრებული... Сбор... 3. შეკრება, თავის მოყრა; 4. შეკრება (სამხ.)...; Сборище. разговорный — თავყრილობა, ბრბო (!!!). აი, საიდან მოათრია ყურით მავანმა მთარგმნელმა სასაუბრო საჭიროებისამებრ სახმარი ეს ამაზრზენი სიტყვა და ჩვენი ხელიხელსაგოგმანებელი ქართული ენა დაანაგვიანა. განა შეურაცხყოფა არ არის, როცა ქართული საზოგადოების მოწინავე წარმომადგენლებს ბრბოს ვუწოდებთ, რომლებიც თავიანთ თავყრილობაზე (Сборище!) იხილავენ ქვეყნის, ერის საჭირბოროტო საკითხებს?!

იგივე ლექსიკონი რუსულ სიტყვას „Ясновидец“ ასე თარგმნის: წინასწარმჭვრეტი. ჩვენი საინფორმაციო საშუალებები კი ხმარობენ მის კალკს — „ნათელმხილველი“, რომელიც არც ერთ ლექსიკონში არ გვხვდება. ბავშვობისას ბებია გულთმისანზე ზღაპარს გვიამბობდა ხოლმე. ჩინებული მოქართულე-მორუსულე გიმნაზისტ-სემინარისტი პაპებისა და მშობლებისაგან ხშირად მსმენია „ის კაცი ნამდვილი გულთმისანიაო“. ეს ტრადიციული მყარი ქართულია და უკამათოდ უნდა მივიღოთ. მით უმეტეს, რომ მას განმარტებითი ლექსიკონიც განმარტავს: გულთმისანი (გულთმისნისა) წინასწარ შემტყობი, გამომცნობი, გრძნეული, მისანი... ვინც ყველაფერს მიხვდება, გაიგებს, გამოიცნობს.

ქართული ენა ძალზე მოქნილი, ხატოვანი, დახვეწილი ენაა. ქართულად შეიძლება ყველაფერზე, ყველა მოვლენასა და საგანზე საუბარი და წერა. შესანიშნავი, მდიდარი ლექსიკა და ტერმინოლოგია გვაქვს. რაც მთავარია, როგორც ვლაპარაკობთ ისევე ვწერთ, ყოველ ბგერას შესაბამისი ასონიშანი შეესატყვისება, რასაც მოკლებულნი არიან სხვა, უფრო ახალგაზრდა „ცივილიზებული“ ერების ენები. მაშ რატომ არის, რომ ჩვენს პრესაში ხშირად ვკითხულობთ და ტელევიზიით ვისმენთ (თანაც ვიზუალურად ვუყურებთ და უხეშ შეცდომებსაც უკეთ ვისმენთ!) ასეთ მარგალიტებს: პროფესორ ჯავახიშვილის მიერ აღმოჩენილ იქნა...“ (სწორია — პროფესორმა ჯავახიშვილმა აღმოაჩინა), „დაბრკოლების გარეშე შევიდნენ...“ (დაუბრკოლებლად შევიდნენ), „ქურდობას ადგილი არ ჰქონია...“ (არაფერი მოუპარავთ), „გართულებასთან არა გვაქვს საქმე...“ (ვითარება არ გართულებულა), „იგი მუშაობით არის დაკავებული...“ (იგი საქმით არის გართული, მოუცლელია). „სინამდვილეს არ შეეფერება“ (სინამდვილეს არ შეესაბამება, მაგრამ, ეს გოგო იმ ბიჭს არ შეეფერება), „ინტერესმოკლებული“ (ინტერესს მოკლებული).

თუ გაზეთებში გამოქვეყნებულ მასალებს კრიტიკულად გადავხედავთ, უამრავ კურიოზებსაც წავაწყდებით, რაც ქართულ ენას დღეს აღარ შვენის. საჭიროა მცირე რამ: ავტორებმაც და რედაქციის მუშაკებმაც ცოტა თავი შევიწუხოთ, გადავიხაროთ და საცნობარო ლიტერატურაში ჩავიხედოთ ხოლმე. ჩვენს მეხსიერებას ნუ ვენდობით. ყოველი საეჭვო ტერმინი თუ სიტყვა, რომლის სწორად წერა არ ვიცით, ან პირველად შეგვხვდა და გვეხამუშა, ათჯერ შევამოწმოთ. რაც მთავარია, ახალგაზრდობას უნდა შევასწავლოთ საცნობარო ლიტერატურის გამოყენების ჩვევები, ეს კი თავიდან აგვაცილებს ენის წარყვნის არასასურველ რეციდივებს.

დიმიტრი გულისაშვილი.

ხსოვნა

ბადრი პაპავა

უკვე მერამდენედ გვიხდება ახლო მეგობარზე მოსაგონარის წერა. მაგრამ, ულმობელია ომის კანონები, რამდენი უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე შეიწირეს აფხაზმა სეპარატისტებმა, მათმა დაქირავებულმა გადამთიელებმა.

როცა მშობლიურ სოხუმს საფრთხე დაემუქრა, როდესაც აფხაზებმა ვერაგულად დაარღვიეს ხელშეკრულება და შემოვიდნენ სოხუმში, ბადრი პაპავამ აიღო იარაღი ხელში და ქალაქის დამცველთა რიგებში ჩადგა. მეგობრებმა ურჩიეს, შენ აქ უფრო სჭირდები მებრძოლებს — იგი ხომ ჩოლოყაშვილის სახელობის ბატალიონის მეომრებს ემსახურებოდა, აპურებდა მათ. ბადრი პაპავამ უპასუხა: „— 18 წლის ბიჭები მიდიან საბრძოლველად და ორმოცი წლის კაცს რა მიჭირსო“. მაგრამ ტყვიამ არ დაინდო ეს ალალმართალი, უპრეტენზიო პიროვნება, თავის ქვეყანაზე უსაზღვროდ შეყვარებული კაცი, მისი ერთგული ჭირისკაცი. იგი დაიჭრა სოხუმში, რესპუბლიკურ საავადმყოფოსთან 1993 წლის 20 სექტემბერს. ჭრილობა სასიკვდილო აღმოჩნდა, ექიმებმა ვეღარ უშველეს — თბილისის პირველ კლინიკურ საავადმყოფოში გარდაიცვალა.

მან პირნათლად მოიხადა ვალი ქვეყნისა და მშობლიური ერის წინაშე. ჩაქრა კიდევ ერთი კარგი ქართველი ვაჟკაცის სიცოცხლე, მაგრამ მის სახელს დავიწყება არ უწერია.

მეგობრები.

ნიაზ მაღლაკელიძე

მოულოდნელად გარდაიცვალა რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის ნიჭიერი ორგანიზატორი, ნიაზ მაღლაკელიძე. იგი დაიბადა 1946 წ. ქ. თბილისში. 1964 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ განვლო ექიმის, მეცნიერისა და ჯანდაცვის ორგანიზატორის სახელოვანი გზა.

1978 წელს ნიაზ მაღლაკელიძეს მიენიჭა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. 1985 წელს დაინიშნა საბურთალოს რაიონის მოზრდილთა მერვე პოლიკლინიკის მთავარ ექიმად, ხოლო 1989 წლიდან გარდაცვალებამდე ხელმძღვანელობდა იმავე რაიონის ამბულატორია-პოლიკლინიკის გაერთიანებას.

თავისი ქვეყნის ღირსეული მოქალაქე და პატრიოტი ნ. მაღლაკელიძე საზოგადოებრივ საქმიანობას ეწეოდა ჩვენი ცხოვრების მრავალ სფეროში.

წავიდა ჩვენგან შესანიშნავი პიროვნება, ოჯახის ღირსეული მამა, ერთგული მეგობარი, რომლის ცხოვრების გზა სამაგალითოა ჩვენი ახალგაზრდობისათვის.

საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო; თბილისის ჯანმრთელობის დაცვის მთავარი სამმართველო; საბურთალოს რაიონის ამბულატორია-პოლიკლინიკური გაერთიანება.

ნოდარ ერგემლიძე

წავიდა ჩვენგან კიდევ ერთი შესანიშნავი მოქალაქე, შემოქმედი და მოღვაწე, დამსახურებული მხატვარი, რესპუბლიკის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, დიზაინისა და დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების დარგში მომუშავე ახალგაზრდა მხატვართა შემოქმედებითი სახელოსნოს დირექტორი ნოდარ იონას ძე ერგემლიძე.

ნოდარ ერგემლიძის შემოქმედებითი ცხოვრება მოზრდილი წიგნის თემა გახლავთ, ამჯერად მცირედს, მთავარს შემოგთავაზებთ:

იგი, როგორც მხატვარი-დეკორატორი, იყო პარიზის, შვეიცარიის ქალაქ ბაზელის, კაიროს, ბერლინის, იზმირის, პლოვდივის და სხვა საერთაშორისო გამოფენების მონაწილე, ყველგან მაღალი შეფასება და აღიარება მოუპოვებია.

ნოდარ ერგემლიძის შემოქმედება სამოცამდე საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტის გაფორმებულ ინტერიერს მოითვლის: მოსკოვის კინოსახლი, ვოლგოგრადის რესტორანი „საქართველო“ და ქართული ღვინოების სპეციალიზებული მაღაზია, რიგი ინტერიერები ბიჭვინთაში, მთავრობის სასტუმრო სახლი კრწანისში, სასტუმრო „ივერია“, ღამის ბარი „მუხამბაზი“, უცხოეთთან ურთიერთობის საზოგადოების დასასვენებელი კორპუსი სოჭში, სიმფონიური მუსიკის საკონცერტო დარბაზი, უმაღლესი სასამართლოს შენობის ინტერიერი და სხვ.

და მაინც, მხატვრის შემოქმედების მწვერვალი, ვფიქრობთ, არის თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის აღდგენილი შენობის ცენტრალური ჭაღი და შენობის მაყურებელთა ნაწილის მთელი განათების სისტემა.

ადამიანში ყველაზე ძვირფასი ის არის, რისი წართმევაც სიკვდილს არ ძალუძსო, უთქვამთ. ბევრი რამ ძვირფასი დაგვიტოვა ბატონმა ნოდარმა — თავის ნააზრევს და შემოქმედებასთან ერთად კეთილშობილებისა და კაცურკაცობის მაგალითი, შესანიშნავი ოჯახი — მეუღლე და ქალ-ვაჟი და მოსწავლეთა რიგი, რომელთაც შემოქმედებით აზროვნებასთან ერთად ქვეყნის, ადამიანის, ამაღლებულისა და მშვენიერის სიყვარულსა და პატივისცემას ასწავლიდა.

ვაი, რომ მაშინ წავიდა ბატონი ნოდარი ჩვენგან, ქვეყანას აგრერიგად რომ სჭირდება მისი მსგავსი მამულიშვილები.

კულტურის სამინისტრო; მხატვართა კავშირი; დიზაინერთა კავშირი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა რესპუბლიკის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, დამსახურებული მხატვარი, უზენაესი სასამართლოს უნიკალური შენობის მხატვრული გაფორმების ერთ-ერთი შემოქმედი

ნოდარ იონას ძე ერგემლიძე

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

განცხადება

მცირე სახელმწიფო საწარმო-კომერციული ფირმა „ფუტკარის“ სახელწოდებით 1993 წლამდე ფუნქციონირებად ორგანიზაციასთან საქმიან ურთიერთობაში ადრე მყოფ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს, ამ განცხადების გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს ორი თვის ვადაში, შეუძლიათ ფირმის მიერ მათთან დოკუმენტურად გაფორმებულ ვალდებულებათა შესახებ, ინფორმაციით მოგვმართონ ტელეფონებზე: 227327, 954106 ან 292805.

აღნიშნული ვადის შემდეგ ინფორმაცია არ განიხილება.

მთავარი რედაქტორი ზურაბ გოგიაშვილი.

მისამართი, 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს“ საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშარაულის 29.
ტელეფონი — 34-73-45.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0466.

SAKARTVELOS RESPUBLIKA
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА